

# ივერია

ქართული ეროვნული პოლიტიკის ორგანო  
პერიოდული გამოცემა

L'organe de la politique nationale Géorgienne  
„IVERIA“

Directeur E. PATARIDZE.

Rédacteur S. TCHIRAKADZE.

ი ა ვ ე რ ი ა 1963

N° 10

JANVIER 1963

### შ ი ნ ა ა რ ს ი:

დიდი ილიას მემკვიდრეობა . . . . . სევ. ჭირაქაძე  
საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა . . . . . ვლ. პატარაძე  
როგორ დაიწყო ნაციონალური საკითხი სს.ს.რ. კავშირში . . . . . შ. კალანდაძე  
ერთი «აკადემიკოსის» არააკადემიური განცხადების გამო . . . . .

#### საეკლესიო ცნოვრება:

როდის კონფერენციის ანარეკლი . . . . . რ. ინგილა  
სრულიად საქართველოს ეკლესიის ქათალიკოს-პატრი-  
არქი, მისი უწმიდესობა ეფრემ მეორე პარიზში  
მამა ილიას წარმატება

მსოფლიო ანტიკომუნისტური კონფ. მალტის კუნძულზე  
«ანტიკომუნისტური ლიგის» კონფერენცია ტოკიოში  
დავით ვაჩნაძე . . . . . ს. ჭირაქაძე  
გრიგოლ რობაქიძის ჩსოენას . . . . . შ. კალანდაძე

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.  
LE PARTI NATIONAL-DEMOCRATE GEORGIEN

პარიზი — PARIS  
1963



# ივერია

ქართული ეროვნული პოლიტიკის ორგანო  
პერიოდული გამოცემა

იანვარი 1963

№ 10

Janvier 1963

„ჩვენი თავი ჩვენზე უნდა გვემუდონდეს“



ილია ჭავჭავაძე  
(1837—1907)

ქართველი ერის სულიერი აღმდგენელი  
და მარადიული მამამთავარი.

ი-553

## დიდი ილიას მემკვიდრეობა

(მისი დაბადებიდან 125 წლ. თავის ავსტანისხავედ)

ზოგს ჩვენს დროში სასწაული არ სჯერა. მიუხედავად ამისა, ხანდისხან სასწაული მაინც ხდება. აბა, ვინ წარმოიდგენდა, ამ ოცი-ოცდაათი წლის წინად, რომ ილია ქაეჭავაძე, საბჭოთა საქართველოში, კომუნისტების მშენებლობის ეპოქაში, აღიარებული იქნებოდა, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი. დიდ საზოგადო მოღვაწედ, უდიდეს მწერლად და მოაზროვნედ, ქართული კულტურის ფუძემდებლად, წოდებრივ უთანასწორობის მოსპობისათვის მებრძოლად, გლეხთა ინტერესების და მშრომელი ხალხის მედგარ დამცველად.

ჯერ კიდევ 1937 წელს, მისი დაბადების 100 წლის თავის დღესასწაული დიდის ზემოთ იქმნა გადახდილი. რამდენიმე ტომად გამოიკა, თითქმის ყველა მისი ნაწერები, ბევრი გამოკვლევა და მონოგრაფია დაიწერა მის შესახებ, დაარსდა სახლი-მუზეუმი ყვარელში, საგურამოში და თბილისში; აგებულია მთელს საქართველოში მისი მონუმენტალური ძეგლები, უამრავ დაწესებულებას, სხვადასხვა კომპლექსებს მიენიჭა მისი სახელწოდება, თბილისში და სხვა ქალაქებში პროსპექტებს და ქუჩებს მისი სახელი ამწვევენ.

უკანასკნელად, 1962 წ. (ნოემბერში), ყველა დაბა-ქალაქებში კვლავ იღვასასწაულეს, ამ ჯერად მისი დაბადების 125 წლის თავი. რომლის სახელის პატივისცემა და ხსენის აღნიშვნა მაღლიერი ერისაგან, არა ნაკლები ღირსებით იქნა გადახდილი, ვიდრე წინანდელი.

გასაოცარი ის არის, რომ ამ დიდი ზემოების თაოსანი და მონაწილენი ყოველთვის ხელმძღვანელი კომუნისტები არიან, მასში მთლიანად ჩაბმულია საქართველოს კომუნისტური პარტია და სხვა კულტურული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მომხსენებლად გამოდიან, ქართველ მწერლებთან ერთად. პირველ რიგში ცენტრის და პროვინციების პასუხისმგებელი მდივნები. ასე, რომ ამ დღესასწაულთა გადახდა, არც მთლად უმიზნოდ, პარტიულ პროპაგანდასთან დაკავშირებული, პირდაპირ კომუნისტურ პარტიის მოვალეობად არის გამხდარი. კიდევ უფრო გასაოცარია. მათი პატრიოტული მჭერმტყველობა, მათი სიტყვების ამალგებული სტილი (ან ფრანგულად მათი ლანგაჟი), რამდენიმე ნიმუში საქმარისი

იქნება, რომ მკვეთრად ვიგრძნოთ თუ რა დიდი განსხვავებაა ილიას დაფასებაში კომუნისტების ძველი და ახალი თაობათა შორის.

«ი. ჭავჭავაძის სახელი სამუდამოდ დამკვიდრდა ქართული კულტურის ისტორიაში, როგორც უდიდესი პოეტის და მოაზროვნისა, ახალი, რეალისტური ქართული კულტურის და ახალი სალიტერატურო ენის ფუძემდებლისა, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთერთი ყველაზე თვალსაჩინო სულის ჩამდგმელისა და მებაირახტრისა».

«სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი და წინამძღოლი».

«როცა კომუნისტური პარტია აშენებს კომუნიზმს, ჩვენ მადლიერების და სიყვარულის გრძობით მოვიხსენიებთ დიდ წინაპრებს, რომლებმაც ღრმად გაიდგვეს ფესვები ხალხის გულსა და გონებაში, რომლებიც ცოცხლობდნენ და იღვწოდნენ ხალხისათვის, სამშობლოსათვის, ნათელი იდეალისათვის, სიმართლისათვის, ერისა და პიროვნების თავისუფლებისათვის».

და შემდეგ ეს მთავრდება ჩვეულებრივი—დიდი ილიას სახელთან შეუფერებელი პროპაგანდით, პარტიის ღვაწლის გამართლებით, ერის წინაშე თავიანთი დანაშაულის და ლაღატის ცოდვათა შემსუბუქებით.

«დიდი ოქტომბრის რევოლუციამ, განახორციელა ი. ჭავჭავაძის ოცნება, სამუდამოდ ბოლო მოეღო პოეტის მრავალტანჯულ საქართველოს ჩაგვრას, რომელიც ახლა თავისუფალი და თანასწორუფლებიანია».

როგორ მოხდა, რომ კომუნისტურ აზროვნებაში ასეთი დიდი სულიერი გადატეხის მოწამენი გავხდით? რამ გამოიწვია ასეთი რადიკალური გადაფასება? სხვა მიზეზთა შორის ჩვენ მართებულად მიგვაჩნია ის აზრი, რომ თანამედროვე საბჭოთა საზოგადოებამ კომუნიზმის განხორციელების რწმენა დაჰკარგა და იმედის გაცრუებამდის მივიდა, აღარ სჯერა ლენინიზმის თეოლოგიური, დოგმატიკისა. აქედან—გულგრილობა, კომუნიზმის იდეალისადმი სიძულვილი, მტრული განწყობილება იმისა რაც ანტი-ეროვნულია, რომელიც გასაქანს არ აძლევს არც ერის, არც პიროვნების ბუნებრივ გრძობებს და საღ ეროვნულ ცნობიერებას.

ამ ინდიფერენტისმის დაძლევა შესაძლებელი იყო მხოლოდ ეროვნული საწყისებისაკენ დაბრუნებით, კომუნიზმის

და ეროვნულ განწყობილებათა შერწყმით. მეორეს მხრივ, როგორც სჩანს ერის სული მარადიული, უკვდავია. ეროვნული იდეა უფრო ცხოველყოფელია, უფრო გამძლე, ბუნებრივი და დაუსრეტელი, ვიდრე კომუნისტური გამოფიტული იდეები. ნაძალადემათ უმცირესობის მიერ უმრავლესობაზე თავზე მოხვეული, დიქტატურით შებორკილი და დამუხტული.

ან შეიძლება ეს იყოს დროებითი კომპრომისი, დათმობა, ან ეროვნულ ცხოვრების კომუნისმის გარემოცვაში ჩაკეტვა, დატყვევება, რომ ამით გაადვილდეს ეროვნული მიდრეკილების დამოორჩილება და კონტროლი. სხვანაირად ასეთი უცნაური სინთეზი კომუნისმის და ეროვნული სინამდვილის, მეტად ძნელი ასახსნელია კომუნისტური მოძღვრების თვალსაზრით. სად ლენინი და სად ილია?—მათი ერთ მხარეზე მოთავსება მცდარ დიალექტურ აზროვნებაშია შესაძლებელი და არა საღი ჯონების მსჯელობით.

ასეა თუ ისე, ილია გამარჯვებული გამოვიდა. ისტორიულად გამართლებული, მან სძლია ყველა თავის მოწინააღმდეგეთ და მათზე გახელმწიფდა. ყველას მოეხსენება, რომ წინად მოწინააღმდეგენი, მას სთვლიდნენ უბრალო ლიბერალად, სიტყვიერად ბატონყმობის ინსტიტუტის გაუქმების მომხრედ, სინამდვილეში—შემამულეთა ინტერესების ქომაგად, რეაქციონერად და მონარქიის დამცველად—კი გამოყავდათ. მის მწერლობას და საზოგადოებრივ მოღვაწეობას წოდებრივი პოზიციიდან აშუქებდნენ და ხელალებით უარყოფდნენ მის ვსოდენ ამაგს გაწეულს კულტურულ. საზოგადოებრივ და ეროვნულ ცხოვრების განვითარების სარბიელზე. მართალია, ახლა უკუგადაბრუნდა, დაგმობილიც კი ფ. მახარაძის მიერ ილიას პოეზიის და საზოგადოებრივ ღვაწლის უდიერო და მცდარი დაფასება, რომელსაც ის განიხილავდა მარქსისტულ ვულგარული სოციალოგიზმის თვალთახედვით (პ. რატინი), თვით ი. ჭავჭავაძეს კი აცხადებდა ხალხის შეუბრალებელ მტრად. ამ ქამად ილიაზე ასეთი ღვარძლიანი შეხედულება დატოვებულია. ხოლო ახლა უფრო სხვა ყალბ ვტიკეტებს აწეპებენ, მხოლოდ იმისთვის, რომ ილია მისაღები იქნეს კომუნისტურ იდეოლოგიისთვის და უნებლად შეყვანილი ახალ კომუნისტურ საზოგადოებაში. ზოგიერთები ისე შორს მიდიან მაგალითად, რომ მას მეცნიერული სოციალიზმის წინამორბედთა სახავენ, გამოყავთ დიდ რევოლუციონურ-დემოკრატიად, თითქოს ის მომხრე იყო რევოლუციონურ გზით, სისხლის ღვრით, მომხდარიყო ძველი მწყობრის გარდაქმნა. ეკო-

ნომიური თანასწორობის საფუძველზე. რასაც ვირველია, ეს გადაჭარბებული და მცდარი აზრია და არაერთი ფაქტობრივი გამართლება არ აქვს, რასაც ზოგიერთი მკვლევარი სამართლიანად ამხელს და ასეთ დებულების სისწორეს უარყოფს.

ეს ყველაფერი კარგია, ზოგი რამეც მისაღები. თუმცა კომუნისტები ილიას სახელს და ღვაწლს ახლა თავის ვიწრო პროპაგანდულ მიზნისათვის იყენებენ, ამით ქართველი ერი წაგებული არ იქნება. რადგან ისინი მივიდნენ ილიასთან და არა ილია მათთან. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ახლა ილია ნახევრად გამარჯვებულია, ეს იმის საწინდარია, რომ ის მომავალში საბოლოოდ, საშვილიშვილოდ, ინტეგრალურად დამკვიდრდება საქართველოში.

რაც შეეხება ჩვენს პოზიციას, როგორც ეროვნულს და დემოკრატიულ მიმართულებას, როგორც ეროვნულ თავისუფლებისათვის მებრძოლს, ჩვენთვის უფრო ახლაა დიდი ილიას ეროვნული და დემოკრატიული მოღვაწეობის მემკვიდრეობა, ვიდრე სხვებისთვის. ილია, როგორც დიდი მწერალი, პუბლიცისტი, ის მთელს ერს ეკუთვნის და არავის უფლება არ აქვს ის საკუთრად დაიხმოს. ილია დიდი სიბრძნის საუნჯეა, მისი იდეებით სარგებლობა ყველას შეუძლია, რა მიმართულებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს.

ჩვენთვის ილია დიდი ეროვნული და დემოკრატიული მოღვაწეა, ქართული ცნობიერების გამომყვდელი, ეროვნული დოქტრინის შემქნელი, საქართველოს თავისუფლებისათვის შეუდრეკელი მებრძოლი, ეროვნულ ცხოვრების მაგარი ბურჯი, ქირსა და ლხინში მისი ყვარულები.

თავის ხანგრძლივი მოღვაწეობის მიწურულში, ილია აგრეთვე იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთი დამაარსებელთაგანი. მისი ეროვნული და დემოკრატიული პროგრამის შემდგენელი და თუ ვისმეს გული ერჩის, უფლება აქვს მისი იდეებით სარგებლობისა, ეს უწინარეს ყოველისა ჩვენი მიმართულებაა.

ხოლო უნდა ვიცოდეთ, რომ დიდი ილია ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და მისი იდეების რიგი დროული, წარმავალია, რიგი კი—მარადიულია და უნივერსალური, ყოველ ეპოქისათვის გამოსადეგი. მისთვის ერი, მისი თავისუფლება მთავარი იყო, დანარჩენი საშუალება ამ მიზნის მისაღწევად.

სწორედ ეს მთავარი—ერის პრიმატობა—დიდი ილიას უკვდავი აზრი, ყოველმა ქართველმა უნდა დაიხმოს და მისი მემკვიდრეობის ღირსეული გამგრძელებელი იყვეს.

## საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა

(დაპყრობიდან დღევანდლამდე)

საქართველოს დაპყრობის ორმოცი წლისთავზე, ვ. მკვაძე-ნაძემ (საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი)—ვრცელი სტატიები მოათავსა რუსულ და ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. სხვა ტრაფარეტულ აზრების გარდა, გამოთქვა ერთი მეტად უცნაური «ორიგინალური» და უსაფუძვლო აზრი. ეს ეხება საქართველოს უფლებრივ სტატუსს: «საბჭოთა წყობილების პირობებში საქართველოს მშრომელები თავიანთი ბედის ნამდვილი ბატონ-პატრონი გახდნენ. ახლა საქართველო სრულუფლებიანი, სუვერენული სოციალისტური რესპუბლიკაა. ძალა-უფლება ხალხს ეკუთვნის, ხალხი თვითონ მართავს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას, აწვითარებს ეკონომიკას, ამრავლებს მატერიალურ და სულიერ ფასეულებათ თავის ინტერესებისათვის»-ო.

არც ერთი, აქ მის მიერ გამოთქმული აზრი სინამდვილის ამსახველი არ არის, რასაც ამჟამად ჩვენ არ ვეხებით, ჩვენს ყურადღებას იპყრობს მხოლოდ ერთი დებულება—საქართველო სუვერენული რესპუბლიკაა—ეს ლიტონი განცხადება არანაირად არ არის განმარტებული და დასაბუთებული. არც საბჭოთა და არც საერთაშორისო სამართლის მიხედვით. ხოლო როგორ არის საქართველო სრულუფლებიანი სუვერენული სახელმწიფო, ან რა უფლებრივი პრეროგატივები აქვს მის «სუვერენულ რესპუბლიკას». ეს მის სრულს საიდუმლოებას შეადგენს. ჩვენ შევეცდებით ამ საიდუმლოების ამოცნობას. ამისათვის ჩვენ დაგვეირღვება გავიხსენოთ, სქემატურად მაინც, ეროვნულ საკითხზე, კომუნისტურ პარტიის თეორიული შეხედულებანი და პრაქტიკული გადაწყვეტილებანი დღიდან მისი არსებობისა, უმთავრესად ლენინის და სტალინის შეხედულებანი რევოლუციამდის და რევოლუციის შემდეგ, რადგან უამისოდ ჩვენ გავგიჟებულდება საქართველოს ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობის ნათლად წარმოდგენა.

წინააღმდეგობის რეჟიმის დროს, რუსეთის იმპერიაში შემავალი ერები განიცდიდნენ ეროვნულ ჩაგვრას და მათი ტერიტორიები წარმოადგენდა კოლონიალიზმის ობიექტს: რუსიფიკაციის და ასიმილიაციის პოლიტიკას. უძნელდებოდა უპრობლეოდ მიზნის მიღწევა, რუსეთის იმპერიალიზმი მუდგარ წინააღმდეგობას აწყდებოდა და ხშირად უკან იხვედა. ეროვნული მოძრაობა თავის გზით მიემართებოდა, რევოლუციონერ მოძრაობას გადაბმული, ძალას იკრებდა და ვრცელს იმპერიას დანგრევით და დაშლით ემუქრებოდა.

და მართლაც, როცა ეს უზარმაზარი იმპერია, რევოლუ-

ციონური და ეროვნული მოძრაობის შეერთებული ძალით დაემხო, აღფრთოვანებულმა ერებმა იწყეს ცენტრიდან ჩამოშორება თავიანთი დამოუკიდებლობის აღსადგენად, შეშინებულმა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ყოველგვარ საშვებებს მიმართა, ერთა ეს ბუნებრივი მისწრაფება, საბჭოთა ორბიტში მოემწყვდია და მის გაოლენისათვის დაემორჩილებია. ვერავი განზრახვით, უცებ ტაქტიკა შესცვალეს, სასწრაფოდ იცენეს დეკლარაციით, ნაირნაირი დაპირებებით ყველა ერების დამოუკიდებლობა, რომ შემდეგ როცა რეჟიმი საბოლოოდ განმტკიცდებოდა ერთბაშად შეემუსრათ მათი ეროვნული თავისუფლება. ეს ასეც მოხდა. ახლა კომუნისტები ისტორიის მსვლელობას უკუღმა ატრიალებენ და როგორც მათ ჩვევით თავისებურად ალაშაზებენ ისტორიულ ფაქტებს და მოკლენებს, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, დროის მიხედვით, ამახინჯებენ როგორც მოუხდებთ და საკმის ვითარებას ისე უჩვენებენ, თითქოს ისინი მუდამ იყვენ ერთა განთავისუფლების მომხრე და ამისთვის კიდევ იბრძოდენ. მოუსმინოთ თუ რას სწერენ: «დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მთელ მსოფლიოში პირველი რევოლუციაა, რომელმაც სოციალურ საკითხთან ერთად მართებულად გადასჭრა ეროვნული საკითხიც». მართალია ეს დებულება? აქვს რაიმე კავშირი რეალობასთან? როგორც იტყვიან, ფიცი გეწამს, ხოლო ბოლო გვაკვირებს! ეროვნული საკითხის მათი მართებული გადაწყვეტა ჩვენში ეჭვს იწვევს. შედეგი კი თავისთავად აღადგებს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლენინი თავიდანვე აღმაცერად უყურებდა ეროვნულ საკითხს და უმნიშვნელოდაც სთვლიდა «ძლევამოსილ მუშათა კლასის ინტერნაციონალურ მოძრაობასთან» შედარებით. რევოლუციამდის ეს საკითხი მისთვის გაურკვეველობით და ბუნდოვანებით იყო მოცული. არც აინტერესებდა და არც კჭონდა გამომუშაებული სახელმძღვანელო იდეები და თუ მას ხანგამოშვებით მაინც ეხებოდა იძულებით და მოკლენების ზეგავლენით, ის ბოლომდის დარჩა რუსეთის მთლიანობის და ცენტრალურ მართველობის ერთგული დამცველი. მაშინაც კი როცა, ამა თუ იმ შემთხვევაში, ტაქტიკური მოსაზრებით აზრს იცვლიდა და დროის შესაფერ ფორმულას ღებულობდა, დაღრეკილ დიალექტიკის მომარჯვებით, თითქოს ცენტრალიზმს უარსყოფდა და ერთა თვითგამორკვევის უფლებას და სრულს დამოუკიდებლობასაც კი აღიარებდა, იმ იმედით, რომ «განთავისუფლებული ერები, მთელის ძალღონით გაიწევენ, დიდ და მოწინავე სოციალისტურ ერებთან კავშირისა და შერწყმისაკენ» (ეს ლენინის ფორმულაა). რა თქმა უნდა ეს «გაწევა კავშირისა და შერწყმისაკენ, ლენინმა კარგად იცოდა ნებიურად არას დროს არ მოხდებოდა. ამ გარეგნულ, მაცდურ სიტყვიერ კო-

მპრომისით, მანგს უგებდა. შიგ იტყუებდა მისგან ვითომც  
«განთავისუფლებულ» ერებს თუ არა, ადგილობრივ კომუნის-  
სტებს მაინც (აბა, მათ გარდა სხვას ვის მოატყუებთ!).

მართლაც, როცა საამისო პირობები დადგებოდა კომუნის-  
ტური პარტიის დიქტატორიალური ხელისუფლება ადგი-  
ლად დაეშვა ცარიზმის მიერ გატყეპნილი გზით და ცეცხლით  
და მახვილით, შეუდგა თავისუფალ ერების შერწყმას, ე. ი.  
არა ნებეყოფლობით ერების შეგავშირებას. როგორც ამბობ-  
დნენ, არამედ ძალმომრეობით შეერთებას, წარმართა იმპე-  
რიალიზმის და კოლონიალიზმის გზით, ჯერ იდეოლოგიური  
და შემდეგ ეკონომიური კოლონიალიზმის განსაჯერებათ.  
რანაირად გაიშალა ეს ისტორიული პროცესი, ან როგორც  
კომუნისტები ამბობენ,—ეს დიალექტიური განვითარების  
კანონი, ე. ი. ლენინის თეზა—უარყოფა ეროვნული საკითხი-  
სა, ანტი თეზა—ერთა დამოუკიდებლობის აღიარება, სინთე-  
ზი—ერთა შეერთება—შერწყმა. ან ძალით დაპყრობა? ამის გა-  
გების გასაღებს ჩვენ გვაძლევს თვით ლენინის და სტალინის  
ადრინდელი ნაწერები და მათი პრაქტიკული მოღვაწეობა.

დავიწყეთ თავიდან და გავყვეთ მათ ევოლუციას.

ლენინის პარტია (მაშინ სოც.-დემ. პარტია) მარქსისტუ-  
ლი და იმავე დროს ცენტრალისტური პარტია იყო. იცავდა  
რუსეთის მთლიანობას იმპერიის ფარგლებში, არ ცნობდა  
არც ნაციონალურ საკითხს, არც სხვა ეროვნებათ, არც მცირე  
ერთა თვითმართველობას (ავტონომიას—არც პოლიტი-  
კურს, არც კულტურულს). არც ფედერაციას, რომლის საფუ-  
ძველზე უნდა აგებულყო რუსეთში შემავალ ერთა უფლებ-  
რივი ურთიერთობა. ნაციონალიზმი, ფედერალიზმი და ავ-  
ტონომია მას მიაჩნდა რეაქციონურ მოვლენად. ავსტრო-უნ-  
გრეთში ეროვნულ მოძრაობის გაძლიერება, რომლის ჩაგრუ-  
ლი ერები ეროვნულ თავისუფლების მოთხოვნილებას აყენე-  
ბდნენ (ეს მოძრაობა უფრო ფართო ხასიათის იყო თვით რუ-  
სეთში), რაც დიდ შეჯახებას და მწვავე დისკუსიას იწვევდა  
მრავალეროვან ნაციონალისტურ და სოციალისტურ პარ-  
ტიებში. ამ ეროვნულ მოძრაობის ზეგავლენით, ავსტრიის  
სოც.-დემოკ. ინიციატივით ცნობილი იქნა ერთა თვითგამო-  
რკვევის უფლება ყოველი ერისათვის, რომელიც ამას მოი-  
სურვებდა. რუსეთის სოც.-დემოკ. პარტიაც იძულებული  
იყო ზოგადად მაინც გაეზიარებია ერთა თვითგამორკვევის  
პრინციპები, რაც პარტიის შერეე ყრილობამ (1903 წ.) ოფი-  
ციალურად დაადასტურა, ხოლო სახელდაბო, რომელიც ერს  
უნდა მიეღო თვითგამორკვევის უფლება, განგებ გამოურკვე-  
ველი დასტოვა. არ იყო განმარტებული არც ერთი რაობის  
ცნება, არც თვითგამორკვევის პრინციპების არსი, თუ რაში  
უნდა გამოხატულიყო, ან პრაქტიკულად ის რა საშვალებით  
უნდა განაღდებულყო.

ამრიგად ერთა თვითგამორკვევის უფლება წმინდა ფორმალური ხასიათის იყო და ყოველგვარ კონკრეტულ რბანს მოკლებული. ის არავის არაფერს არ ავალდებულებდა. ცხადია, ეროვნული მოძრაობა, როგორც რეალური ისტორიული პროცესის ველოლუცია, ფიქტიურ ფორმულებში ჩაძირვით ვერ შეფერხდებოდა. ისტორიის ძალუმ ფაქტორს წარმოადგენდა და კომუნისტურ პარტიას, ნებისით თუ უნებლიეთ იმისთვის ანგარიში უნდა გაეწია, საკუთარ კალაპოტისკენ მოეზიდა და თავის მიხნებისათვის გამოეყენებია.

ლენინმა თავდარიგი დაიჭირა და თვალმაქცურად კეხი შეაბრუნა. ჯერ კიდევ 1913 წლამდის, ის სწერდა: «არც მეტი, არც ნაკლები, ეროვნულ მოძრაობისადმი ჩვენი მხარის დაქერა, ტაქტიკური მოსახრებით არის ნაკარნახევი. ეროვნული მოძრაობა დროებით უნდა გავიხადოთ ჩვენს მოკავშირედ, რომ დაეჩქაროთ კაპიტალისტური მწყობრის დამხობა, ისე რომ, ჩვენ მას სანაცვლოდ არაფერი დაუთმოოდ და არც არაფერი დავპირდეთ. პარტიის მთავარი მიზანი უნდა იყვეს არა მკირე ერებისათვის დამოუკიდებელ სახელმწიფოების ჩამოყალიბება, არამედ ამ ერთა პროლეტარიატის განთავისუფლება, საკუთარ და გარეშე ბურჟუაზიის ყვლეფისა და ბატონობისაგან»...

ვიმორებთ, რომ ასეთი იყო ყოველთვის ლენინის პოზიცია ეროვნულ საკითხისადმი, მას არასდროს ეს აზრი არ გამოუცვლია. ბოლომდის დაჩრა ნაციონალიზმის უარმყოფელი, რასაც ის თვლიდა კაპიტალიზმის ხანის დამახასიათებლად და რაც კაპიტალიზმთან ერთად მოისპობოდა. ახლა კომუნისტურ პარტიას ისე გამოყავს, თითქოს ლენინი იყო ჩაგრული ერების დამცველი და მებრძოლიც მათი თავისუფლებისათვის. სინამდვილეში გარეგნულად თუ აზრს იცვლიდა, არსებითად აზრის გამოცვლა იყო მისთვის საშვალელება და არა თვით მიზანი. დიალექტიკური წინააღმდეგობა, აზრთა სხვაანაირობა, შეუსაბამობა ამავე მიზანს ემსახურებოდა. მაინც დამინც, როგორც ახლა ამტკიცებენ მისი ჯურის შთამომავალნი, ის არ იყო არც ეროვნული კულტურის დიდი თავყანისმცემელი. ეს მას მიაჩნდა ბურჟუაზიის და მღვდლების გამოგონილად და სალაცხო საგნად. ის დაეინებით იმორებდა, რომ მუშათა კლასისათვის მისალებია ინტერნაციონალური კულტურა. საერთაშორისო პროლეტარიატის მოძრაობის წიაღში წარმოშობილი და შექმნილია.

აბრუნდები, ნახტომები და ტაქტიკური მანოვრების გაცელება ხშირი იყო მის მოღვაწეობაში. განსაკუთრებით, 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, როცა პრაქტიკულად დაჩწმუნდა ეროვნულ მოძრაობას თუ რა ღირებულება და მნიშვნელობა ჰქონდა და რა მჰრელ იარაღს წარმოადგენდა, არსებულ წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად. ჯერ კიდევ რევო-

ლუციის წინა პერიოდში განმარტავდა, რომ ერთა თვითგამორკვევა უნდა გავიგოთ, როგორც სრული უფლება გამოყოფისა (სესაცია) და დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნისათ. ხოლო ამ უფლებით სარგებლობას ის უქვემდებარებდა ეკონომიურ იმპერატივებს, ე. ი. შესძლებენ თუ არა მცირე ერები საკუთარი ეკონომიური რესურსებით, დიდი რუსეთის დაუხმარებლად, დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობის შენარჩუნებას?

მაშასადამე, ლენინი პირობით სცნობდა (როგორც ყოველი კოლონიალური სახელმწიფო) ერთა დამოუკიდებლობას, დაჯერებული იმაში, რომ მათ ადრე თუ გვიან, დახმარები სათვის ისევ წინაღ-მპყრობელ დიდი ერისათვის უნდა მიემართათ, რადგან მათი ეკონომიური რესურსები, ჩამორჩენილობის გამო, საკმარისი არ იქნებოდა დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად. მოკლედ, ლენინმა დიალექტიკურად ისე მოაკვარახა ეს ეკონომიური აუცილებლობა, რომ ერები დააყენა დილემის წინაშე: ან ასიმილიაცია, ან დამოუკიდებლობა—ან ჩვენთან ყოფნა პოლიტიკურად და ეკონომიურად, ან ინებთ ეროვნული დამოუკიდებლობა, რაც წინასწარად გულისხმობს თქვენს ეროვნულ არარსებობას და აუცილებლობად დაღუპვას. როგორც ამას შემდეგ დავინახავთ, სულწასულმა ლენინმა არ აცალა ამ ერებს, ნებაყოფლობით აიოჩიათ ერთერთი ამ დილემათგანი, იარაღით ხელში, უშალმათ ყელში წვდა და დაიპყრო, მათი ნების გარეშე, რუსეთის საბჭოთა კავშირში ძალდატანებით შერევა, რკინის სალტები შემოავლო და ასიმილიაციის (შერწყმის) მკაცრ კანონებს დაუმორჩილა. ერთა თვითგამორკვევის პრინციპები არხენად, სრულიად გულგრილად ქარსა და ცეცხლს გაატანა.

სწორედ იმავე ხანებში (1913 წ.) ლენინის შეკვეთით თუ თავის ინიციატივით, სტალინმა დასწერა ცნობილი ბროშურა «მარქსიზმი და ეროვნული საკითხი», რომელიც ჩვენ ახალგაზდობისას ყველას წაგვიკითხავს და რომელიც შემდეგ ხშირად იბეჭდებოდა საბჭოთა კავშირში სულ ბოლო დრომდის. სტალინი კომუნისტ ბელადებს შორის ითვლებოდა ეროვნულ საკითხის სპეციალისტად. ეს ბროშურა დინანს მიჩნეული იყო, როგორც საუკეთესო დემკონიერული ნაშრომი და შემდგომი მკვლევარებიც მისი იდეებით უხვად სარგებლობდენ. ერის ცნება იქ განმარტებულია, — ეთნიურ ჯგუფის, ეროვნულ უმცირესობის ცნებასთან დაპირისპირებით, — როგორც მყარი ეროვნული კრებულობა, ისტორიულად განვითარებული, საერთო ენის, ტერიტორიის და ეკონომიკის ბაზისზე წარმოქმნილი, რომელსაც მოეპოება საკუთარი ზნე-ჩვეულება, ფსიქოლოგიური ერთიანობა და ავლენს განსაკუთრებულ ეროვნულ კულტურის ფორმებს.

ასეთი განმარტება ძალიან უცნაურია ისეთი მარქსისტ-

სათვის, როგორც სტალინი იყო. ეს უფრო შეეფერება ნაციონალისტურ განმარტებას. ალბათ ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ეროვნული პრობლემა მეტად მწვავედ იდგა იმდროინდელ საქართველოში და მას არ შეეძლო ამისათვის ანგარიში არ გაეწია, ზომიერ კომპრომისულ პოზიციებზე არ დამდგარიყო. შემდეგ ერთ-ერთ წიგნში იგი იცავდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას, უფლებას ავტონომიისა და ფედერაციისას. ლენინმა ეს მიუღებლად ჩათვალა, კიდევ გააკრიტიკა და მას არა-ლოგიკურიც კი უწოდა. სტალინმა, ამრიგად ვერ შესძლო, ან არ ისურვა მთლიანად გაეზიარებია ლენინის შეხედულებანი ეროვნულ საკითხზე.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როცა ლენინი უხეში ძალით ხელისუფლების სათავეში მოექცა, ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, ძირიანად გამოსცვალა თავისი წინანდელი შეხედულებანი მიწის და გლეხებთან დამოკიდებულების საკითხში, უფრო რადიკალურად შესცვალა თავისი აზრი ეროვნულ საკითხზე. რატომ უნდა ტაქტიკური მოსახრებით რომ ადვილად მოეპოვებია ჩაგრულ ერთა სიმბატიები და მათი მიმხრობით უზრუნველყო პროლეტარიატის (იგულისხმებ, ბა პარტიის) დიქტატურის განმტკიცება. მიუხედავად იმისა, რომ ცნობდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას. ცენტრიდან გაცალკავებასაც კი, მან თვითნებურად, ცალმხრივის მოქმედებით, ერთიკალმის მოსმით, შებღალა ერთა თვითგამორკვევის პრინციპი და გააუქმა უკვე გამორკვეულ ერთა თავისუფლება—ყირიმის, ყირგიზეთის, ბაშკირეთის და სხვათა—და, მოუკიდებლობა და მოახდინა მათი სამხედრო ოკუპაცია. სხვა ერებს, რომლებიც ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე ქმნიდნ თავიანთ ეროვნულ საბჭოს და მიისწრაფოდნ და მოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის ჩამოყალიბებისაკენ, სასტიკად დაემუქრა და გააფრთხილა ყველანი, რომ რუსეთის პროლეტარიატი არ დაუშვებდა ერთა თვითგამორკვევის უფლების ბოროტად გამოყენებას. რაც სამიმროებას შეუქმნიდა რუსეთის სახელმწიფოებრივ მთლიანობას და ვითომ დაღუპავდა რევოლუციის მონაპოვართ. მან ერთხელ კიდევ გამოაშკარავა თავისი მტრული დამოკიდებულება ეროვნულ მოძრაობისადმი და ერთა თვითგამორკვევას მეტად ორანზროვანი და შეზღუდული განმარტება მისცა: «უნდა განისაზღვროს ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, ეს უფლებად მივსკეთ მუშათა კლასს და უარი უთხრათ ბურჟუაზიას და ნაციონალისტებს»-ო.

ამავე დროს ლენინი აარსებს ეროვნებათა სახალხო კომისარიატს, რომლის სათავეში აყენებს განგებ არა-რუსს სტალინს, რომელიც 1917 წლიდან საესებით იზიარებდა ლენინის პროლეტარულ თვითგამორკვევის თეზას და რომელსაც დაევალა დაშლის გზაზე შემდგარ რუსეთის აღდგენა, ჩამოშორე-

ბულ სამფლობელოების შემოკრება და შემომტკიცება, რაც ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა ითქვას (რადგან ეს რუსული საქმე გაკეთდა ურჯულო ქართველის, მაგრამ მაინც ქართველის მიერ), ლენინის სიკვდილის შემდეგ. სტალინმა თანმიმდევრობით და პრწყინვალედ შეასრულა: ძველი სივრცე და ძლიერება დაუბრუნა ამჟამად რუსეთის საბჭოთა კავშირს, ხოლო მისმა ახლანდელმა მემკვიდრემ—ხრუშჩოვმა არ დაუფასა ეს მისი ესოდენი ღვაწლი, ჩაქოლა მისი სახელის ხსენება, მისი ნეშთი კი საღდაც კრემლის კუნძულში მიაგდო.

ლენინის და სტალინის ამ წაჯექ-უკუჯექობის ნიადაგზე, პარტიის მეტრე ყრილობაზე (1919 წ.) ეროვნულ საკითხის გარშემო დიდი დავა ატყდა. ადგილი ჰქონდა სრულს აღრევას: არვინ უწყადა, ვინ რისი მომხრე ან წინააღმდეგი იყო. მაშინ ბუხარინმა წინადადება შეიტანა: უარვყოთ რუსეთის საზღვრებში მობინადრე მცირე ერთა თვითგამორკვევის უფლება (არა ერების ეროვნული თვითგამორკვევა, არა რუსეთიდან ჩამოშორება და დამოუკიდებლობის არჩევა, არამედ რუსეთის პროლეტარიატთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნება) და მივლოთ მხოლოდ ნაციონალური თვითგამორკვევა კოლონიალურ ხალხებისათვის, კოლონიალურ იმპერიების დაშლის ასახქარებლად. ლენინმა ამ წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრა და ბუხარინი შეაძრად გააქრიტკია. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ყოველთვის იცავდა ამდაგვარ შეხედულებას, ახლა კი ამ მომენტში ასეთი აზრის დაცვა სოციალიზმისათვის საზიანოდ მიიჩნდა და ერების გულის მოსაგებად განაცხადა: ჩემის აზრით ასეთი კომუნისტიკები, უფრო დიდი რუსეთის შოვინისტებს მიაგავენ, ვიდრე ნამდვილ კომუნისტებს, როგორც სჩანს იმათ ახლა ჩვენს პარტიაში მოიკალათეს და თავზე გვახვევენ თავიანთ აბსურდულ შეხედულებათ. ამიერიდან საჭიროა მათთან დაუნდობელი ბრძოლა, მათი აზრების ძირან-ბუღიანად აღმოფხვრაო. ბუხარინის წინადადება უკუვადებულ იქნა და ყრილობამ ერთხმად დაადასტურა ერთა თვითგამორკვევის უფლების მიღების საჭიროება (თვით გამოყოფის და დამოუკიდებლობის უფლებით, თუ ამას ესა თუ ის ერი ისურვებდა). ამასთანავე ყრილობამ სასურველად ცნო ყოფილ რუსეთის ერთა კავშირი ფედერაციის საფუძველზე. რა თქმა უნდა, მათთვის ფედერალური კავშირი გარდამავალი ეტაფი იყო სახელმწიფოებრივ ცენტრალიზმისკენ. რომ შემდეგ იოლად წაეშალად ყოველგვარი ეროვნული განთვისებულება, ხელოვნურად შეექმნად საერთო საბჭოური პატრიოტიზმის შეგნება, მოესპოთ ბუნებრივი მშობლიური გრძობები, დიდი რუსეთის ენის და კულტურის დანერგვით (ე. ი. რუსიფიკაციით) თანდათანობით წარეხოცად მცირე ერთა ეროვნული სახიერება. რაც ახლა სისტემატიურად სწარმოებს, მართალია დაბრკოლებებით, მიკი-

ბულ-მოკიბული გზით, სტალინის ცნობილი ფორმულის მიხედვით—კულტურა ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური, რაც ჩვენის აზრით, მათებური ერი და მისი კულტურა არც ფორმით არის ეროვნული და არც შინაარსით სოციალისტური. ყველა ეროვნებათა კულტურა ფორმით და სულით რუსიფიცირებულია, საჯაყ სოფეტიკური მაჩტალბით დაღრანჯული. შინაარსით კი, არსებითად კოლონიალურ საწველ ფურადაა გადაქცეული.

ამ რიგად, ფედერალური სისტემა, წინად ლენინის მიერ დაგზობილი, როგორც სახელმწიფოებრივი ცენტრალიზმის დამარღველი ძალა, ახლა გახდა რუსეთის გამაერთიანებელ საშვალეობად. უკვე 1918 წ., საბჭოების მესამე ყრილობამ მიიღო დადგენილება. რომლის ძალითაც ყოველ ერს უფლება ეძლეოდა რუსეთის საბჭოთა კავშირში ნებაყოფლობით შესვლისა და თავისუფლადვე ფედერალურ კავშირიდან გამოსვლისა. თუ ამას მოისურვებდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, ლენინს და სტალინს ძლიერ აფიქრებდათ, საგონებელში ადგებდა ორთავეს. «ველიკორუსული» განვლებული შოვინიზმი, რომელსაც ისინი თვლიდნენ ფედერალურ რესპუბლიკათა კავშირის და სოციალიზმის მშენებლობის შემაფერხებლად. უფრო მეტად სტალინს ეშინოდა ამ დიდ-რუსული შოვინიზმის, რადგან ლენინის სიკვდილის შემდეგ ის გახდა მთელი რუსეთის ბატონ-პატრონი, როგორც ქართველი ის მიუღებელი იყო არამც თუ რუსეთის ეროვნულ თავმოყვარეობისათვის, არამედ თვით მისი თანამებრძოლ კომუნისტებისათვისაც. მარჯვნივ და მარცხნივ მის წინააღმდეგ მიმართული ოპოზიცია უმთავრესად «მის ქართველობაზე» იყო აღმოცენებული.

ამისათვის სტალინს თავი როგორმე უნდა შემოეველა და გამოსავალი მოეძებნა. გამოსავალი ზონახა და მან თვით ააფრიალა დიდი რუსეთის ნაციონალიზმის დროშა. ფსიქოლოგიურად ეს ადვილი გასაგები იყო, სტალინი, როგორც რასიულად არასლავიანი, ეროვნებით ქართველი, ვერ შეინარჩუნებდა ძალა-უფლებას თუ არა რუსულ გრძობებზე თამაშით. რომელიც ზედმიწევნით ანსახიერებდა დიდი რუსეთის ნაციონალიზმის ყოველგვარ ფორმას, აგრძელებდა ძველი რუსეთის ნაციონალურ და იმპერიალისტურ პოლიტიკას. უფრო ჯეროვანად ვიდრე ამას შესძლებდა რომელიმე რუსი. სამაგიეროთ შეუბრალელებლად სტეფენიდა სხვა ერთა ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლენას, ბურჟუაზიული იქნებოდა ეს თუ კომუნისტური. ორთავეს ერთნაირად სთურგნავდა და თავს კვეთდა. მისთვის ესეც საკმარისი არ აღმოჩნდა ერთა ამბობება, უკმაყოფილება და წინააღმდეგობა საშიში იყო რეჟიმისათვის, ამიტომ ხშირად უკან იხევდა (ხან ასე და ხან ისე) თუორია უმჯვანო არ იყო მისთვის და ხშირად მიმართავდა მას). პარტიის მე-16 ყრილობაზე (1930 წ.), გამოვიდა

ვრცელი მოხსენებით, სადაც თანაბრად დაგმო, როგორც დიორუსული შოვინიზმი (რომელსაც როცა დასპირდებოდა თვითონვე აღვივებდა), ისე საბჭოთა კავშირში შემავალი ერების განკერძოებული ნაციონალიზმი. ყრილობას მიადგინა «საბჭოთა კავშირის პატრიოტიზმი», საერთო სამშობლოს იდეა, დიდი რუსი ხალხის მფარველობით და ხელმძღვანელობით.

ლენინი უკმაყოფილო სტალინის ეროვნული პოლიტიკით, 1922 წ. თავის ერთ სტატიას ასეთი ოპორტუნისტული ფრაზით ამთავრებდა: არის შემთხვევები, როცა მარქსისტები იძულებულნი არიან თუ მათ არ უნდათ დემოკრატიას და პროლეტარიატს უღალატონ, ერთა განკერძოებული მოთხოვნილებანი დაიცვან, აღიარონ მათი კანონიერი უფლება, რომ ისინი თავიანთ ბედს თვით განაგებდნენ. მისცენ ცენტრიდან გამოყოფის უფლება, რათა მათ შესძლონ საკუთარი პოლიტიკური და ეროვნული ცხოვრების მოწყობა. არასოდეს მხედველობიდან არ უნდა გაუშვად, რომ ლენინი, ერთა უფლებათა დაცვაში, ყოველთვის გულისხმობდა მხოლოდ ერთი კლასის — პროლეტარიატის ეროვნულ თვითგამორკვევას. ისიც საბჭოთა რუსეთის ფარგლებში და არა მთლიანად ერისას.

ამ წინააღმდეგობათა დასაძლევად, სტალინიმა სხვა ვერაფერი გამოიხატა. გარდა «სოვეტური, ზენაციონალური პატრიოტიზმი». მან ომის ხანაში (1944 წ.) მისი საპირობება ასე დაასაბუთა: «საბჭოთა ხალხების ზენაციონალური პატრიოტიზმი სრულებით არ ეყრდნობა რაიმე რასისტულ ან ნაციონალისტურ ცრუმორწმუნოებას, ის ემყარება საბჭოთა კავშირის ხალხების (საბჭოების სამშობლოს) ღრმა სიყვარულს, თავისუფლებას და ერთგულებას. იმ ერების მშრომელთა ძმობას და თანამეგობრობას, რომელნიც მასში შედიან. საბჭოთა პატრიოტიზმი პარმონიულად არის შერწყმული და შეხავებული ხალხთა ეროვნულ ტრადიციებს. საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთა საერთო, სასიცოცხლო ინტერესებს, რომელიც მათ მჭიდროდ აკავშირებს. შორს ჩვენგან საბჭოთა პატრიოტიზმის ცალკე ეროვნულ ჯგუფებად დანაწილების აზრი, ჩვენი მიზანი მიმართული უნდა იყვეს ყველა ერების და მცირე ეროვნებათა ერთ ძმურ ოჯახში შეერთებისაკენ (ე. ი. სტალინის აზრით, ყველა მათი რუსულ ეროვნებაში გათქვეფა).

ამით სტალინი ფიქრობდა დიდრუსთა შოვინიზმის მოგერიებას, ერთა ნაციონალიზმის ნეიტრალიზაციას და აღაგმას. ის ისე განშორდა ამ წუთისოფელს, რომ ვერც ერთი შესძლო და ვერც შეორე. დღემდე გრძელდება ეს დაუცხრომელი უიდილი და გაგარძელდება მანამდის, სანამ ერთერთი საბოლოოდ არ გაიმარჯვებს. საბჭოთა ყალბი პატრიოტიზმი (რომელიც აკებულობა რუსულ ნაციონალიზმსა და რუსულ

კულტურის უპირველსობაზე და არაერთა თანასწორუფლებიანობაზე), ამ ორ დაპირისპირებულ ანტინომიას ვერ შოარიგებს.

ჩვენ, შეძლებისდაგვარად შევეცადეთ, განგვეხილა ერთ-ერთულ საკითხზე ლენინ-სტალინის თეორიული თვალსაზრისი და პრაქტიკაში მისი განხორციელება. ჩვენ დავინახეთ, რომ მათ თავდაპირველად მასზე არაფერიათარი განსახლერული აზრი არ ჰქონდათ და არც ცნობდენ ერთენულ საკითხის ცალკე არსებობას. შემდეგ როცა ერთენული მოძრაობა ავსტროუნგრეთში და რუსეთში გაძლიერდა, ისინი ამ მოძრაობას უკავშირებდენ კაპიტალიზმის ხვედრს. ეგონათ კაპიტალიზმის ეპოქის დამახასიათებელი ფენომენი და რომ ის კაპიტალიზმთან ერთად გაჰქრებოდა ერთა ინტერნაციონალური სოციალიზმის ნიადაგზე, სინამდვილემ თავისი გაიტანა, ერთენული საკითხი ძალზე აქტუალური გახდა და მისი პრაქტიკულად ვადურა დღისწესრიგში დადგა. მარქსისტებმა სოციალურ საკითხებიდან მისი იზოლიაცია თავიდან ვერ აიცილეს, მათ ამ ისტორიულ მოვლენისათვის ანგარიში უნდა გაეწიათ და ეს ძლიერი ფაქტორი სოციალიზმის მოძრაობის მიზნისთვის გამოეყენებიათ. ტაქტიკური მოსაზრებით მიიღეს ერთა თვითგამორკვევის პრინციპი. დაბოლოს, რევოლუციის შემდეგ, აღიარეს ერთა დამოუკიდებლობაც, დემოგოგიური ხერხების მიშველიებით, ერთა მისხაიდავად და მოსატყუებლად. ყველაფერი ეს იწილო-ბიწილო, დიალექტიკური წინააღმდეგობანი, აზრთა ბაბილონური აღრევა, აქეთიქით მუდმივი ქანაობა, მათი ერთენული თვითგამორკვევა, დასრულდა ერთის დაპყრობით და შეერთებით. პირველი მსხვერპლი ძალადობისა, სხვა ერთებთან ერთად, გახდა საქართველოც.

ყოველი თეორიული დოქტრინა უნდა შეფასდეს მისი პრაქტიკული განხორციელების შედეგით. როგორი იყო ეს შედეგი საქართველოსთვის? ეს კარგად უწყის ქართველმა ერთმა და მთელმა მსოფლიომ. იგი ვერ აცდა კომუნისტურ აგრესიას, დაპყრობას და ანექსიას, ახლა ის ითვლება საბჭოთა კავშირის, ვითომ როგორც «მოკავშირე რესპუბლიკად», როგორც «სრულუფლებიანი, სუვერენული სახელმწიფო».

შემდეგ წერილში ჩვენ მიმოვიხილავთ, საკუთრივ, საქართველოს ახლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას, მის უფლებრივ, ნამდვილად, მის უფლებობის სტატუსს.

ს. ჰონაქაძე.

**„როგორ გადაწყდა ნაციონალური  
საკითხი ს. ს. რ. კავშირში“**

ამ სათაურით, მოთავსებულია «სოვეტსკი სოიუზ»-ის 1960 წ. მე 6 ნომერში, ამ ჟურნალის კორესპონდენტიკისათვის მიცემული «ინტერვიუ» ს. ს. რ. კავშირის ეროვნებათა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, უკრაინელ მწერალ, პ. გ. ტიჩინის მიერ.

ამ «ინტერვიუს» თვით ჟურნალის რედაქცია შემდეგ წინასიტყვაობას უკეთებს:

«ნაციონალური საკითხი, თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მტკივნეულ საკითხთაგანია. ნაციონალური უთანხმოება წარსულიდან კაცობრიობისათვის გადმოცემული წყველი მემკვიდრეობაა. ამიტომაც ჩვენ ხშირად გვეკითხებიან: როგორ გადაწყდა ეს საკითხი ს. ს. რ. კავშირის სოციალისტურ პირობებში?»

«საბჭოთა კავშირი—მრავალ ეროვნებათა შედუღებული სახელმწიფოა. ბალტიის ზღვის ნაპირებზე ცხოვრობენ ესტონელები, ლატიშები, ლიტველები, მათგან სამხრეთით—ბელორუსები, უკრაინელები, მოლდაველები. კავკასიის თოღლიან მალაქ მწვერვალების გადაღმა—საქართველო, სომხეთი, ადრბეიჯანი. კასპიის ზღვის აღმოსავლეთით—თვალთუწყდენული ყაზახისტანი, მისგან სამხრეთით—თურქმენები, უზბეკები, ტალჯიკები, ყირგიზები. ყველაზედ დიდი რესპუბლიკა—რუსეთის ფედერაციაა. რომელიც აერთიანებს—რუსებს, ჩუვაშებს, უდმირტებს, იაკუტებს, თათრებს, ბაშკირებს და სხვა ხალხებს. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა შესდგება 200 ეროვნების ხალხისა და ეთნიური ჯგუფისგან. რა არის ამ ერების ერთობისა და ძმობის შემაკავშირებელი?»

ამის შემდეგ სიტყვა ეძლევა პ. გ. ტიჩინს, რომელიც მისი უმაღლესი თანამდებობის, მაღალი ტრიბუნიდან, უპასუხებს დასმულ საკითხს: «ს. ს. რესპუბლიკათა საკავშირო სახელმწიფო წარმოშობილია საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა ნებაყოფლობით გაერთიანების ნიადაგზე». (sic!)

«ეს კავშირი არ წარმოშობილია ერთბაშად. უპირველესად წარმოიშვა რუსეთის ფედერაცია, შემდეგ უკრაინისა და ბელორუსეთის რესპუბლიკები. შემდეგ კავკასიის ფედერაციური ერთიანსადმი დახმარებით, გადაიტანეს რა ინტერვენციისა და კონტრრევოლუციის ხანა, მიზნათ დაისახეს სოციალიზმის დამყარება. და ამ მიზნისათვის ისინი 1922 წელს საერთო კავშირში გაერთიანდნენ. ახლა ჩვენ 15 საკავშირო რესპუბლიკა გვაქვს. საერთო კავშირში შესვლით, ზოგიერთ მათგანმა აღიდგინა წარსულ ხანებში დაკარგული სუვერენობა. ზოგმაც საშუალება მოიპოვა მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზმის დაარსებისა.»

«ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ უმაღლეს საბჭოთა მთავრობამ, მისი ნაციონალური პოლიტიკის მთავარ პრინციპად აღიარა ხალხთა თვითგამორკვევის უფლება—სრულ გამოყოფამდე. ჩვენ მოვითხოვთ—სწრაფად აღინიშნოს თვითგამორკვევის უფლებას ე. ი. დამოუკიდებლობისას, ე. ი. დანაგრეული ერების გამოყოფის თავისუფლებას. არა იმიტომ, რომ ჩვენ ვოცნებობდეთ მეურნეობის დანაწილებაზე, ან დაიდვალათ მიგვანდეს პატარა სახელმწიფოების არსებობა, არამედ წინააღმდეგ, ჩვენ გვინდა მსხვილი—დიდი სახელმწიფოების, დაახლოება—შეერთება, ერების ნამდვილ დემოკრატიულ და ინტერნაციონალურ საფუძვლებზე, რომ წარმოუდგენელი იყოს მათი გაყოფა-განცალკევება». «წინად რუსეთის იმპერიაში შემაჯალ ფინეთმა და პოლონეთმა რომ მოისურვეს დამოუკიდებლობა, არავის არ გაუწევია მათთვის წინააღმდეგობა».

«საბჭოთა ფედერაცია ნიშნავს არა მხოლოდ ნებაყოფლობითს, არამედ თანასწორუფლებიან ეროვნებათა კავშირს. მაგალითად, სომხეთის რესპუბლიკა, რომლის ტერიტორია 570 ჯერ, მოსახლეობა კი 86 ჯერ ნაკლებია რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაზე, უკანასკნელთან თანაბარი უფლებით სარგებლობს. არც ერთი ხალხის, არც ერთი ერის ინტერესი არ არის ანგარიშგაუწეველი და უყურადღებოდ დატოვებული, მათი თანასწორობა და სუვერენობა ხელშეუხებელია.»

«ყოველ მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკას—აქვს თავისი კონსტიტუცია, თავისი მოქალაქეობრიობა, მისი პარლამენტი და მთავრობა, ბიუჯეტი, სასამართლო, საკუთარი პიშინი, საკუთარი ღერბი და დროშა. ისინი თავად ხელმძღვანელობენ თავიანთ ეკონომიურ ცხოვრებას. არც ერთი რესპუბლიკის ტერიტორიის შეცვლა მათი საკუთარი თანხმობის გარეშე არ ხდება.»

«ყოველ რესპუბლიკას უფლება აქვს იყოლიოს საკუთარი შეიარაღებული ძალა—ჯარი, შევიდეს უშუალო ურთიერთობაში უცხო სახელმწიფოებთან. ბელორუსია და უკრაინა ირიცხებიან წევრებად და დამაარსებელნიც არიან გაერთიანებულ ნაციათა ორგანიზაციისა. მათ ხელი მოაწერეს იტალიასთან, უნგრეთთან, ბულგარეთთან და ფინეთთან საზოგადოებრივ უფლებას.»

«მოკავშირე რესპუბლიკები თვით ანხორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლებას, ისინი თვით სწვევტენ მათი ცხოვრების კონკრეტულ საკითხებს. მაგრამ ს. ს. ს. უნებულებიკა—ერების კავშირთა და მუნიციპალიტეტთა, რომ მათი ინტერესები შეთანხმებულ იქმნენ». «საერთო საკავშირო ორგანოები წარმოადგენენ ს. ს. ს. რ.—ს საერთაშორისო ურთიერთობაში, სწვევტენ ომისა და მშვიდობიანობის საკითხებს. მათ უფლებადმი და კომპეტენციაში შედის: საგარეო ვაჭრობა, მთელი



საერთო სახელმწიფოს სასოფლო-სამეურნეო მეურნეობის გეგმა, შედგენა-დამტკიცება საერთო ბიუჯეტის, საფინანსო და საკრედიტო სისტემის ხელმძღვანელობა, კანონმდებლობის ძირითად-საფუძვლების გამომუშავება. და სხვა».

ნაციონალური საკითხი არ არის მხოლოდ პოლიტიკის, არამედ ეკონომიკისა და კულტურის საკითხიცაა. ამ დარგებსაც ეხება ბ-ნი ტინინი და იდეალურ ფორმებშივე გვიხატავს იმ წარმატებებს, რომელთაც მიაღწიეს ს. ს. ს. რ—ში «ნებაყოფლობით» გაერთიანებულმა ერებმა და ხალხებმა «უფროსი ძმარუსის ერის» მაგისტრალური, გულკეთილი ხელმძღვანელობით. მათზე პასუხის გაცემას ჩვენ ახლომომავლისათვის შემოვიჩინავეთ. დღეს კი ნაციონალური საკითხის, მხოლოდ პოლიტიკურ არეხედ შევჩერდებით და მის ფარგლებში აღძრულ საკითხებისადმი პასუხის გაცემას შევეცდებით. საბჭოთა რუსეთის მიერ თავისუფლება-სუვერენობიდან გაძარცვულ ერის თვალთსაზრისით.

ნაციონალური. ესე იგი, ერების თვითარსებობისა და დამოუკიდებლობის საკითხი. არა წყველი, არამედ დალოცვილ-კურთხეული. ეროვნებათა თანდათან ფორმაციიდან, ფენაფენ მოსდევს ისტორიას. მის წინმსვლულობას წინ ელობება და აჩერებს დიდ სახელმწიფოთა ბოროტი და წყველი იმპერიალისტური ზრახვანი, მათი დაპყრობისა და დამონებისა. მართალია «სოვეტსკი სოიუზ»-ის ის აზრი, რომ ეს საკითხი თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზედ უფრო მტკივნეული საკითხთაგანია.

უკანასკნელი საუკუნე ამ საკითხს თანდათანობით დადებითად უპასუხებს: ზნეობა და მორალი ამარცხებს უხეშ ფიზიკურ ძალას, ნებითა თუ ძალით თავისუფლდებიან დაპყრობილი ერები. ძველი იმპერიები თითქმის ყველანი დაიშალნენ და თავიანთ ეთნოგრაფიულ-ეროვნულ ფარგლებში ჩადგნენ. მათ ნანგრევებზედ მკვდრეთით აღსდგნენ მათ მიერ დაპყრობილი ერები და ხალხები. ეროვნული სახელმწიფოები აღდგნენ და საკუთარი დროში წარსდგნენ თავისუფალი მსოფლიოს წინაშე.

მართლაც წყველი და ცოდვილი საბჭოთა რუსეთის იმპერიისა ერთად-ერთი, რომელმაც ალოცვილ ვერ აულა ისტორიის მსვლულობას და ვერ მიჰყვა მას. ისევე ძალმომროებით არა თუ აღადგინა ძველი რუსეთის იმპერია, გაზარდა და გააფართოვა კიდევ და ორასამდე—ერი, ხალხი-ტომი, და ეთნიური უგუფი სხვადასხვა რასიული წარმოშობის, ცივილიზაცია-კულტურის და სარწმუნოების უფრცეს ტერიტორიაზე რკინისკედლებით ჩაქეტა. ამ თუჯის უძირო კვებში განაგრძობს მათ გადახარშვა-შედულებას.

ბუნებრივია ეურნალ «სოვეტსკი სოიუზ»-ს, რომ ვკი-

თებთან, თუ როგორ გადაწყდა ნაციონალური საკითხი ს. ს. ს. რ. კავშირში. ისეც ბუნებრივია და რუსული ბოლშევიკური ტაქტიკისათვის შესატყვისი, რომ ყოველ ასეთ მომენტში და ძნელად პასუხგასაცემ საკითხზე, რუსეთის მეთაურები, მათ მიერ დაპყრობილი ერების, მათდამი მონად ქცეულ შვილებს გამოიყვანენ. მათ პორტპაროლად: ერთა ლიგაში—ხრუსთაისის მიერ მხლებლად—მიყვანილ ქართველ კუჭავას (უფრო კი ელუდკოვს), ადგილობრივ—მისივე კარისკაცს, უკრაინელ ტიჩინს, რომ მათი სიტყვები დამაჯერებელ დამარწმუნებელი გახდეს დაპყრობილი ერებისა და თანაც მსოფლიოსათვის.

სიანს ტიჩინი შაშვის ახალი ბარტყია, საბჭოთა იგავ-არაკებით ნაკვები. მისი გალობა რუსეთის საბჭოთა პოლიტიკურ-მუსიკალურ ტონსა და ჰანგებს ეგუება, მაგრამ პოლიტიკურ-სინამდვილეს ეწინააღმდეგება და ამბინჯებს, ასე იწერება საბჭოთა ისტორია, ასე იქმნება საბჭოთა სამყაროში საზოგადოებრივი აზრი. მაგრამ რუსეთის მიერ დაპყრობილი ერებიდან გამოსული ემიგრაცია და თავისუფალი მსოფლიო, ზომ თვალაკრული, ყურზედ ფეხდაკრული, გონებადასაბურთისებული და შეხსიერებადაკარგული, საბჭოთა საზოგადოება არ არის, რომ მისი საზრდოება, ტიჩინის მიერ დახუთებული ზღაპრებითა და იგავ-არაკებით შეიძლება დგეს.

ჩვენ მოთმინებითა და სიბრალულის გრძობით უსმინეთ, საცოდავ ტიჩინს, ქადაგად დაცემულს.

ახლა სიტყვა ჩვენ გვეკუთვნის და საბჭოთა რუსეთის საზოგადოებასა და მასთან ერთად ბ-ნ ტიჩინსაც ვსთხოვთ სმენასა და გაგონებას:

თვით ს. ს. რუსეთის ფედერაცია არ წარმოშობილა და აღმდგარა მის ეროვნულ-ეთნიურ ფარგლებში, ნებაყოფლობითა და მშვიდობიანის გზით, ძველი რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ. დაახლოებით 50 ევლიკორუსულ გუბერნიისა და ოლქის გარდა მან უხეში ძალით მოამწყვდია მის ფარგლებში, მისი ეთნიური საზღვრების გარეთ ახლა თუ შორეულ ქვეყნებში მცხოვრები ეროვნული წარმოშობის ტომები და ხალხები: თათრები, ბაშკირები, დაღესტანელები, ბურიატ-მონღოლები, ყაბარდოელები, ჩუვაშები, ჩრდილოკავკასიისეგოსები, ჩერქეზები და სხვანი. ამას უსირცხვილოთ ს. ს. რუსეთის ფედერაცია დაერქვა.

რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აღსდგა მთელი რიგი ეროვნულ-სახელმწიფოებისა: ფინეთი, ბელორუსეთი, უკრაინა, პოლონეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკა; ბალტიის სანაპირო ქვეყნები: ლატვია, ლიტვა, ესტონეთი; ცენტრალური აზიის ქვეყნები: თურქესტანი, ტაჯიკისტანი და სხვანი. ყველა ეს მოვლენები მოხდა 1918—1920 წლებში.

საბჭოთა რუსეთში იარაღი აისხა, თანდათანობით დაამარცხა და ძველ იმპერიის ფარგლებშივე დააბრუნა, ჩაჰკეტა თითქმის ყველა ეს ერები: ბელორუსები, უკრაინელები 1920 წლის შემოდგომაზე. აზერბაიჯანი, სომხეთი და შემდეგ საქართველოც 1921 წლის თებერვალ მარტში, თურქესტანი—1924 წელს, თურქმენისტანი და ყაზახისტანი 1926 წელში.

რუსეთის ძველი იმპერიის ერებიდან, მხოლოდ რამოდენიმემ დააღწია თავი საბჭოთა რუსეთის მიერ ხელახლათ დაპყრობას, მათ მიერ წარმოებულ თავგანწირულ ბრძოლებითა და საერთაშორისო პირობების მიერ ხელისშეწყობით: ფინელების მიერ წარმოებულ თავდაცვითი ომი, მარეშალ მანინერპაიმის ხელმძღვანელობით, გამარჯვებით დამთავრდა 1920 წლის ოქტომბრის 14-ს, სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით. ასევე გამარჯვებით დამთავრდა, მარეშალ პილსუდსკის ხელმძღვანელობით, პოლონელების მიერ წარმოებული განმანათავისუფლებელი ომი 1921 წლის მარტის 14-ს, რიგაში, სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით.

ტიჩინის ზღაპარს რომ დაუჯეროთ, «საბჭოთა მთავრობამ ოქტომბრის რევოლუციის დღეებიდანვე, მისი პოლიტიკის მთავარ პრინციპად აღიარა ხალხთა თვითგამორკვევის უფლება—სრულ გამოყაფამდე»-ო და იქვე დასძენს «ენიკ მოისურვა აღიდგინა წინა ხანებში დაკარგული სუვერენობა. მაგალითად, პოლონეთმა და ფინეთმა რომ მოისურვეს დამოუკიდებლობა, არავის არ გაუწევია მათთვის წინააღმდეგობა»-ო (sic!).

ესტონიის, ლატვიის და ლიტვის მიერ თავისუფლებისათვის წარმოებული ომებიც მათი გამარჯვებით დამთავრდა, სამშვიდობო ხელშეკრულებებზე ხელის მოწერით 1920 წლის თებერვლის 22-ს, აგვისტოს 11 სა და ივლისის 12-ს. ტიჩინს რომ ჰკითხოთ თუთიყუშივით გეტყვისთ «არც მათთვის გაუწევია ვისმეს წინააღმდეგობა»-ო.

ყველა ამ ერებიდან, მხოლოდ ფინეთმა შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, რომლისათვისაც მან მეორე ომი გადაიხადა, იმავე საბჭოთა რუსეთისაგან თავდაცვისათვის 1939—1940 წლებში, 17512 კვ. კ. ქარელის ტერიტორიის დაკარგვით.

ბალტიის ქვეყნებმა: ესტონეთმა, ლატვიამ და ლიტვამ დიდი მსოფლიო ომის მიწურულში 1940 წ. დაჰკარგეს დამოუკიდებლობა. ეს ქვეყნები, კვლავ დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა და მისი იმპერიის საზღვრებში ჩაჰკეტა; პოლონეთიც, იმავე დიდი ომის შემდეგ, ისევე როგორც, აღმოსავლეთ ევროპის ეროვნული სახელმწიფოები: რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი და ჰუნგარეთი, საბჭოთა რუსეთის ნაძალადევი გაელენის ქვეშ მოჰყვა და ფაქტიური დამოუკიდებლობა დაჰკარგა.

გამართლდა, ჩვენს მიერ ზემოდ მოყვანილი ლენინის საპროგრამო აზრი, ერების გამოყოფისა და მათი ხელახლად შეკავშირებისა დიდ სახელმწიფოს ფარგლებში, ისე რომ ხელახალი გამოყოფა წარმოუდგენელიც იყოს. მაგრამ ეს არ მომხდარა ამ ერების თვითნებითი შეერთებით, ნამდვილ დემოკრატიულ და ინტერნაციონალურ საფუძვლებზედ, როგორც ლენინი ამბობდა, არამედ ძალდატანებითა და სისხლიანი ომებით.

საბჭოთა რუსეთი დასავლეთის სახელმწიფოებს უკივი-ნებს იმპერიალიზმსა და სხვათა მიწაწყლის მიტაცებას. 1941 წელს ენკენისთვის 4-ს რუსეთის წარმომადგენელი ხელსაწერს მოკავშირე სახელმწიფოთა ერთ რეზოლუციას, რომელიც სხვათა შორის ამბობს, რომ «ხელისმომწერნი არ ეძებენ მათი ტერიტორიის გადაღებას».

როგორ დაიცო მან მის მიერ ხელმოწერილი რეზოლუცია:

1939 წლიდან მარტო ვეროპაში ანექსია მოუხდინა და დაიკავა 179,649 კვ. კ. 22,000,000 მცხოვრებით.

1945 წელს აგვისტოს 16-ს, მოლოტოვისა და მორავსკის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებით, ვითომდა «კერზონის ხაზის» აღდგენით, რუსეთმა მიითვისა პოლონეთის ტერიტორიის 69,000 კვ. კ. 11,000,000 მცხოვრებით.

ბალტიის ქვეყნები: ესტონეთი, ლიტვა-ლატვიის ანექსიით 66,716 კვ. კ. 6,000,000 მცხოვრებით.

1940 წელს ანექსიას ახდენს და რუსეთს უერთებს რუმინეთის ტერიტორიის ნაწილს ბესარაბიას და ჩრდილო ბუკოვინს—17,000 კვ. კ. 300,000 მცხოვრებით.

1940 წ. მარტის 31-ის ხელშეკრულებით იკავებს ფინლიანდიის ნაწილს კარელი-ს 17,512 კვ. კ. 1,500 მცხოვრებით.

1946 წელს, თვითნებურათ ჩამოსურის მისი გავლენის ზონაში მოყოლილ აღმოსავლეთ გერმანიას აღმოსავლეთ პრუსიას—4,500 კვ. კ. 300,000 მცხოვრებით. მის მთავარქალაქ ქენიგბერგს კალიონგრადს უწოდებს.

1945 წ. მისივე გავლენის ზონაში მოყოლილ ჩეხოსლოვაკიას ჩამოსურის 4,921 კვ. კ. 800,000 მცხოვრებით და საბჭოთა რუსეთის ტერიტორიას შეუერთებს.

შორეული აღმოსავლეთიც არ რჩება რუსის უყურადღებოდ, მისი ხარბი და გაუმადლარი თვალთახედვის გარეშე. მოკავშირეების თანხმობით იკავებს სახალინისა და კურილიის კუნძულებს 17,879 კვ. კ.

ეს სტრატეგიული პუნქტი რუსეთმა დაიკავა 1945 წ. თებერვლის იალტის ხელშეკრულებით.

1905 წლის რუსეთ-იაპონიის ომში უკანასკნელის მიერ დაკავებული მანჯურიაც არ უნდა დარჩეს აღდგენილი რუსეთის იმპერიის გარეშე. ეს ტერიტორია მის მოკავშირე კომუ-

ნისტურ ჩინეთს ეკუთვნის. მასაც არ ინდობს გაუშაძლარი რუსეთი და 1945 წლის აგვისტოს, ჩინეთ-რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულებით მანჯურიასაც იკავებს.

საბჭოთა რუსეთის გაუშაძლარი მთაწერობა, იგიწყებს მის მიერ ხელმოწერილ რეზოლიუციას მოკავშირეებთან ერთად, 1941 წ. მარტის 4-ს და ევროპაში თუ აზიაში, — შორეულ აღმოსავლეთში, ნებით თუ უნებლიეთ იკავებს და იტაცებს მტრისა თუ მეგობრის მიწა-წყალს. მის იმპერიალისტურ მადას საზღვარი აღარ აქვს.

აი როგორი მტაცებლური და იმპერიალისტური პოლიტიკით შესწლო საბჭოთა რუსეთმა მისი მოსახლეობისათვის 94.000.000 სული უცხო ხალხების მიმატება, რაც მისი საერთო მოსახლეობის 45 პროც. შეადგენს.

საბჭოთა რუსეთის გაშლა-ექსპანსიამ 7.600.000 კვ. კ. სივრცეს მიადლწია 850.000.000 მოსახლეობით.

დიდი ომის შემდეგ კი დასავლეთის ქვეყნებში 40-ზე მეტი ერი და ხალხი განთავისუფლდა, რომელთა საერთო რაოდენობა 800.000.000 სულს აღემატება. მათი საერთო ტერიტორია 9.500.000 კვ. კ. უდრის.

აი, როგორის თანხმობა-სოლიდარობითა და ნება-სურვილით შეიქმნა ბ-ნო ტინჩინო ს. ს. რ. კავშირი, რომლის ბატონ-მპყრობელის სასახლის კარზე თქვენ მსახურობთ, თუ თიყუშის როლში.

ბუნებრივად მაგონდება, ინდოეთის პირველ მინისტრ ნეჰროუს აზრი, რომელიც მას 1958 წ. უთქვამს: «კომუნისმი საბოლოოდ შეუერთდა ძალმომრეობას. მაშინაც კი, როცა ის ძალას არ ხმარობს, მისი აზრი და ფიქრიც ძალმომრეობის გზით მიიმართება. ის არ ცდილობს რაიმე ცვლილების მოხდენას დაჯერება-დაარწმუნების მშვიდობიანის მეთოდითა და დემოკრატიული გზით, არამედ უდიერე წინააღმდეგობის, ნგრევისა და საბოლოო-განადგურების საშუალებით.»

ძველი ინდოეთის სიბრძნის შვილის ეს დაფასება, ზუსტად უდგება საბჭოთა რუსეთის მეთაურების პოლილიკას.

ახლა გინვიზილოთ, თუ რამდენათ დაცულია, ს. ს. რ. კავშირში, ძალად შერევილი ერების თავისუფლება—მათი თვითმართველობის, თვითგანგების, საკუთარი ცხოვრების მოწყობის, მათ შორის ურთერთობის, ან უცხო-გარეშე სახელმწიფოებთან დამოკიდებულების სფეროში.

1947 წლის მკვდრად მობილი, ს. ს. რესპუბლიკათა კავშირის, კონსტიტუციის ძალით, ეროვნულ რესპუბლიკებს ყავსთ საკუთარი მთაწერობა, საბჭო-პარლამენტი, სასამართლო. მაგრამ ყველა ეს ნომინალურია, უფლება-აყრილი, უფლება-შებოქვილი. მთაწერობა ვერ მთაწერობობს, პარლამენტი ვერ კანონმდებლობს, სასამართლო ვერ აწარმოებს სამართალს

თავისუფლად და დამოუკიდებლად. ყველა ეს ორგანოები დაქვემდებარებული არიან ს. ს. რესპუბლიკათა კავშირის შესატყვის და სათანადო ცენტრალურ ორგანოებისადმი, რომელიც მოსკოვიდან ხელმძღვანელობენ და უძღვებიან მათ საქმიანობას. გასაგები ენით რომა ვსტკვათ. ისინი მეფის რუსეთის მიყო აღგილობრივ დაყენებულ «ნამესტიკების» მდგომარეობაში არიან. ისინი ვალდებული არიან, მოსკოვში მყოფი უმაღლეს-ცენტრალურ ორგანოების მიერ განსაზღვრულ ფარგლებში აწარმოონ, სააღმასრულებლო, საკანონმდებლო თუ სამოსამართლო საქმიანობა.

თვითარსებობის, თვითგანგებობის, თვითმართველობის მნიშვნელოვანი და უმთავრესი დარგების ცენტრალური ორგანოები მოსკოვის ხელშია, ცხოვრების უმნიშვნელო და მესამეხარისხოვანი დარგების, ვითომდა ხელმძღვანელი ორგანოები, მოკავშირე ეროვნულ რესპუბლიკათა ხელშია; მათ რქებში ჩაბმული ბაწარიც მოსკოვს უპირავს ხელში. რომ როდესაც უნდა მაშინ და საითაც უნდა იქეთ უქნას თავი. საბჭოთა კავშირი ის «თოთხმეტთავიანი მდევია» რომელსაც მხოლოდ ერთი თავი განაგებს და მეთაურობს. დანარჩენნი კისრისძვალ-გატეხილნი, თანხმობის ნიშნად მონურ შორჩილებით დაიხრებიან. მოსკოვი ის «გულკეთილი» ფეოდალია, რომელიც მარცხენა ხელით მიცემულს, მარჯვენა ხელითვე ჩამოართმევს, თავისუფლება მოწყურებულ მის ყმებს და მორჩილს. ს. ს. რ. კავშირის 1947 წლის კონსტიტუცია, ის ბნელი «ლადირინთია» რომლის სიბნელეში გზას ვერ იკვლევს ვერც ეროვნული და ვერც პიროვნული თავისუფლების სხივი.

ამ კონსტიტუციის მე-15 თავის თანახმად: «მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენობა შეზღუდულია მე-14 მუხლში აღნიშნულ ფარგლებით. მათ გარეთ, ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა, თვით ანხორციელებს, დამოუკიდებლად, სახელმწიფო ხელისუფლებას. ს. ს. რ. კავშირი კი იცავს მათ სუვერენულ უფლებებს.»

მე-14 მუხლით: «ს. ს. რ. კავშირის უმაღლეს ორგანოების მმართველობის კომპეტენციაში შედის:

ა) ს. ს. რ. კავშირის წარმომადგენლობა საერთაშორისო ურთერთობაში; დამტკიცება თუ უარყოფა უცხო სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულებათა; საერთო წესის დადგენა, საკავშირო რესპუბლიკათა და უცხო სახელმწიფოთა ურთიერთობაში;

ბ) ომისა და მშვიდობიანობის საკითხები;

გ) მთელი საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის კონტროლი და მასთან შეხამება-შეთვისება საკავშირო რესპუბლიკების კონსტიტუციებისა;

დ) საკავშირო რესპუბლიკათა შორის საზღვრების შეცვლის დამტკიცება;

ე) ს. ს. რ. კ. თავდაცვითი ორგანიზაცია, ყველა შერარადგ-  
ბულ ძალთა ხელმძღვანელობა;

ვ) საგარეო ვაჭრობა, სახალხო მეურნეობის გეგმის დად-  
გენა, საერთო ბიუჯეტი, საფინანსო-საბანკო დაწესებულება-  
თა მმართველობა, ტრანსპორტი, ფოსტა, კანონმდებლობა,  
სასამართლო და სხვ.

მე-17 მუხლი: «ყოველ საქვეშინო რესპუბლიკას რჩება  
უფლება ს. ს. რ. კავშირიდან გასვლისა;

მე-18 მუხლი: «საქვეშინო რესპუბლიკათა ტერიტორიის  
შეცვლა კი შეუძლებელია მათი თანხმობის გარეშე;

მე-18 მუხლი—: ყოველ საქვეშინო რესპუბლიკას აქვს  
უფლება უშუალო ურთიერთობაში შევიდეს უცხო სახელ-  
მწიფოებთან, დაამყაროს მათთან შეთანხმება და გასცვალ-  
ოს მათთან დიპლომატიური და საკანსულო წარმომადგენლ-  
ობა; იმავე მუხლის ძალით: «ყოველ საქვეშინო რესპუბლიკას  
ყავს საკუთარი სამხედრო ნაწილები».

მე-19 მუხლი: ს. ს. რ. კავშირის კანონებს ერთგვარი ძალა  
აქვს ყველა საქვეშინო რესპუბლიკების ტერიტორიაზე;

მე-20 მუხლი: «საქვეშინო რესპუბლიკების კანონის ს. ს. რ.  
კავშირის კანონისაგან განხრის შემთხვევაში, ძალაშია და მო-  
ქმედობს უკანასკნელი ე. ი. საერთო საქვეშინო კანონი;

მე-21 მუხლი «ს. ს. რ. კავშირის მოქალაქეთათვის არსდე-  
ბა ერთობლივი მოქალაქეობობა; საქვეშინო რესპუბლი-  
კის ყოველი მოქალაქე არის იმავე დროს ს. ს. რ. კავშირის  
მოქალაქე»...

იმავე კონსტიტუციის მე-31 მუხლის ძალით, ს. ს. რ. კავ-  
შირის უმაღლესი საბჭო ანხორციელებს ყველა უფლებათ,  
რომელნიც მითვითებულნი აქვს მას თანახმად კონსტი-  
ტუციის მე-14 მუხლის ძალით».

მე-32 მუხლი კი აღნიშნავს: «კანონმდებლობითი უფლება  
ს. ს. რ. კავშირში ნხორციელდება (ისკლიუჩიტელნო), მხო-  
ლოდამხოლოთ ს. ს. რ. კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ».

ეს უმაღლესი საბჭო კი შესდგება ორი პალატისაგან სრუ-  
ლიად ს. ს. რ. კავშირისა და ერთგვებათა საბჭოთაგან. ორ-  
თავე პალატის სხვადასხვა სახის არჩევნების წესი ისეთი  
მოხერხებითაა შექმნილი, და ამ პალატათა შორის ურთიერ-  
ობადაც ისეთივე რთულ წესდებულებას ემორჩილება, რომ  
საბოლოო ანგარიშში, უმრავლესობასა და გადამწყვეტ ძალა-  
სა და უპირატესობას აძლევს «უფროს ძმად». წოდებულ რუ-  
სის ხალხს, რომლის იმპერიალისტურ მიზნებს ნაძალადევად  
ემსახურებინა ს. ს. რ. კავშირში ძალად მომწყვედუელი ერები  
და ხალხები.

ამას ადასტურებს კონსტიტუციის მე-67 მუხლი: «ს. ს. რ.  
კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგუ-  
ლებათა აღსრულება სავალდებულოა ს. ს. რ. კავშირის  
მთელ ტერიტორიაზე».

მე-69 მუხლი დასძენს: «ს. ს. რ. კავშირის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს, მის კომპენტენციაში მყოფი დარგების ფარგლებში, შეაჩეროს საკავშირო რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს განკარგულებანი და დადგენილებანი და ახა რამელი დარგი არ შედის მის კომპენტენციაში?»

ახლა სასამართლოს დარგში: მე-104 მუხლის ძალით: «ს. ს. რ. კავშირის უმაღლესი სასამართლოა, მაღალი და მთავარი საზოგადოებრივი ორგანო. მის მოვალეობას და უფლებას შეადგენს მთელი ს. ს. რ. კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა ორგანოების შეთვალყურეობა» (პოდზორი).

მე 115 მუხლი: «მოკავშირე რესპუბლიკებისა თუ ოლქების პროკურორები ინიშნებიან უშუალოდ ს. ს. რ. კავშირის გენერალური პროკურორის მიერ...

საბჭოთა ქვეყნების კონსტიტუციაზე, რომ სრული წარმოდგენა გექონდეს, საჭიროა კიდევ, მისი რამოდენიმე მუხლიც აღვნიშნოთ: მე-215 მუხლის ძალით «უზრუნველყოფილია სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებისა და მიტინგის, ქუჩაში გამოსვლისა და დემონსტრაციის თავისუფლება». ეს მხოლოდ მშრომელთა და მათი ორგანიზაციებისათვის. მე-126 მუხლის ძალით «ნებადართულია იმავე მშრომელთათვის გაერთიანება ს. ს. რ. კავშირის ერთბოლოე კომუნისტურ (ბოლშევიკურ) პარტიაში». მე 127 მუხლით უზრუნველყოფილია ს. ს. რ. კავშირის მოქალაქეთათვის მათი პიროვნების ხელშეუხებლობა. მე 128 მუხლით უზრუნველყოფილია ხელშეუხებლობა მათი საცხოვრებელი ბინისა და დაკულია მათი მიწერ მოწერის საიდუმლოება».

ასეთია კონსტიტუცია ს. ს. რ. კავშირისა, რომლის სატახტო ქალაქად, მე-145 მუხლის ძალით მიჩნეულია მოსკოვი.

აბნანის, მაგრამ პირველადწყებითი კითხვის სუსტადმცოდნეთათვის, რომელთათვისაც რუსებს ახლა უსწავლებიათ კითხვა და მისი თავისებური გაგება, ეს კონსტიტუცია და ტიჩინის სიტყვებიც ისეთ შთაბეჭდილებასა სტოვებენ, თითქოს მართლა, დაკული იყოს მცირე ერების—ხალხებისა და ტომების, თანაც პიროვნების სრული თავისუფლება. რამოდენიმე ათასჯერ განმეორებული ცარიელი სიტყვები: დამოუკიდებლობა—ავტონომია—თვითმართველობა—თვითგამორკვევა თავისუფლება სუვერენობა, მათ სუსტ გონებას, მოწყურებულ სურვილს. ათრობს, ხიბლავს და აბნევს. მათ კატეგორიას უნდა ეკუთვნოდეს, უდაოთ, პ. გიორგის ძე ტიჩინიც, რომლის უმაღლესი ჩინი მწერლობაა და ეროვნებათა უმაღლესი საბჭოს ჯეცეპრეზიდენტობა. მაგრამ წერა—კითხვის მკოდნე—გათვითცნობიერებულ—განათლებულ გონება—ვახსნილ და გაგების უნარმქონე ადამიანზე, ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუცია საცოდავ შთაბეჭდილებას სტოვებს: მასში

იმდენივე სიცრუეა რამდენიც სიტყვა, იმდენივე სიყალბე რამდენიც თვია და მუხლი. სიცრუის თქმასაც უკუა უნდა და გონება. მისი შემდგენელი ორთავე ამ ფეხზეკოჭლობენ. თვით ამ კონსტიტუციას კი აკლია «სიბრძნე სიცრუისანი». ეს, ბოლშევიკურ-მეცნიერების მიერ, ის ახალი გამოგონილი ელექტრო-მანქანაა, რომელიც თვითა სურის და თვითვე ჰკერავს. ნემსს თვითვე აძლევს და მის მიერ შეკერილს თვითვე ართმევს ძაფს და არღვევს....

რუსული იმპერიალიზმის წითელი პერანგი კი სტალინის მიერ ჩამოსხმული და გამოჰედოილი ის რკინის სუღარაა, რომელიც წინასწარ გადაცმული აქვსთ ველიკორუსეთის მიერ დაპყრობილ ერებს, და რომელთა საფლავეიც, ამ «მეკიაველური კონსტიტუციის» უკანასკნელის წინა მუხლით სატახტო ქალაქად აღიარებულ, მოსკოვშია გათხრილი. ამ საფლავეზე აღმართულია მეტად სიმბოლიური ძეგლი, იმავე კონსტიტუციის 143—144 მუხლების ძალით, ს. ს. რ. კავშირის სახელმწიფო, ლერბი, ჩაქუჩ-ნაშვალი და წითელი დროშა, წარწერით: «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით».

ტიჩინის ოფიციალური სიტყვებისა და ოფიციალური კონსტიტუციის შორის ბევრია საერთო და თანაც ბევრი წინააღმდეგობა. ორთავენი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ს. ს. რ. კავშირში შემაველი ერები თავისუფალნი და სრულუფლებიანი არიან, რომ ისინი თავად ანხორციელებენ და თავიან. თი ნებასურელით უძღვებიან მათ სახელმწიფო საქმიანობას —საშინაოსა თუ საგარეოს. პირველი მათთაგანი ცდებია, მეორე კი სტყუის. ვინაიდგან მისი, ე. ი. კონსტიტუციის (მე-14—19—31—32—67—69—104—15-ტე) ძირითადი მუხლების მიხედვით. ს. ს. რ. კავშირში მყოფ ერებს, გარდა მათი «უფროსი ძმა» რუსებისა, ართმეული აქვსთ თანასწორობის, თავისუფლების და სუვერენობის უფლების ყოველი ნიშანი, ყოველი ნასახი; ფეხთბორკილი, კისერზე უღელდადებულნი და პირაკრულნი არიან.

რომელი ეროვნული რესპუბლიკაა, რომლის ნომინალური მთავარი ორგანოები მმართვედეს და უძღვებოდეს მისი ეროვნული პოლიტიკის საშინაო და საგარეო საქმიანობის დარგებს თავისუფლად, ანხორციელებდეს და ასრულებდეს მის სახელმწიფოებრივ მმართველობისა თუ კანონმდებლობის ფუნქციებს, რომელთა უფლებებსაც კონსტიტუციის მე-15—16—17—18-ტე მუხლები ფორმალურად მათ ანიჭებენ? რომელი ეროვნული რესპუბლიკაა, რომ მისი ტერიტორიის ბედს განაგებდეს დამოუკიდებლად?

საბჭოთა რუსეთის ძალდატანებით არ იყო, რომ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას ჩამოართვეს, დასაწყისშივე და მის მუხობლებს გადასცეს: ართვინის ოლქი, საინგილო და ბორჩალოს ოლქი, ქართველი ერის ისტორიულად უფაო კუ-

თენილებად ცნობილი, რომელთა დასაცავადაც საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სამი ომი გადაიხადა?

ან კავკასიის რომელ რესპუბლიკებსა და ხალხებს ჰქონხეს, რომ ამ ორი წლის წინ, მთელი ამიერ-კავკასია, კავკასიონის ქედის გადმოღმა, ს. ს. რ. კავშირს გეოლოგთა ყრილობამ, აზიის კონტინენტზე გადაიტანა?

ან რომელ ეროვნულ, ავტონომიურ რესპუბლიკასა ჰყავს საკუთარი ჯარი, კონსტიტუციაში, რომ არის შეტანილი ცარიელი სიტყვებით? ან რომელი ტერიტორია დარომელი საზღვრები უნდა დაიცვას მან, ან ვისგან? არ რომელ ეროვნულ რესპუბლიკას აქვს საშუალება, მისი შინაური სასოფლო-სამთამადნო, თუ სამოქალაქო-საეპრო-სამრეწველო-მეურნეობა, თვით აწარმოვოს და მიმართოს მის საკუთარ-მოთხოვნილებათა შესაფერათ? ან რომელი ეროვნული რესპუბლიკაა, რომლის სულიერ-კულტურული დარგების განვითარება ზევიდან-მოსკოვიდან წინასწარ დაგეგმილი და მიჯნა დადებული არ იყოს?

პატარა ერების ენები «პატუათა»-შინსასაუბრო ენათ არის მიჩნეული და ტირინის სიტყვით, «უფროსი-ძმის-რუსის» ენის კარგად შესწავლა და ცოდნა, გახდა აუცილებელ მოთხოვნილებად ს. ს. რ. კავშირის ყოველი ადამიანისათვის. ახლო-მომავალი კონსტიტუცია აღბად მას სავალდებულო და სახელმწიფო ენად აღიარებს და გამოაცხადებს.

ან რომელი ეროვნული რესპუბლიკაა, რომელსაც თანახმად კონსტიტუციის მე-18 მუხლისა, უფლება ჰქონდეს უშუალოდ შევიდეს უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, დაამყაროს მათთან შეთანხმება და გასცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობა? (O. N. U)—ე. კავშირში მხოლოდ უკრაინისა და ბელორუსეთის წარმომადგენლები ახლავს ხრუშჩოვს ნამდვილ მხლებლებად, ტაშის დამკვრელებად.

ან ვის უნახავს ეროვნულ რესპუბლიკათა ღერბი, დროშა და ჰიმნი, მოსკოვისაგან განსხვავებულნი. მხოლოდ კონსტიტუციას რომ ამკობენ და ამშვენებენ?

ან რომელ ეროვნულ რესპუბლიკას აქვს უფლება ს. ს. რ. კავშირიდან გასვლისა, კონსტიტუციის მე-17 მუხლშივე, რომ ცინიკურად რჩება? არცერთი ამ ერთგანი არ შესულა ს. ს. რ. კავშირში მათი ნება-სურვილითა და თანხმობით. ყოველი მათგანი ზარბაზნის ყუმბარისა და ტყვიისმფრქვეველის ცეცხლით იქმნენ დაპყრობილნი რუსეთის მიერ და მოსკოვის რკინის პალოზე ჯაჭვით დაბმულნი. დღეს მას ცინიკურად ეუბნებიან: «უფლება გაქვს კავშირიდან გასვლისა». თ. მაშ რათ იღვრებოდა ზღვა სისხლი ამ დაპყრობილი ერებისა, ან ყაზახისტანელთა. ან განსაკუთრებით, ქართველებისა, რომელმაც მ აჯანჯება მოაწყო, თან რამოდენიმე შეთქმულება, და

ამ ერების კომუნისტურ მეთაურების ე. წ. უკლონისტური გამოსვლები? ან უკანასკნელ მსოფლიო ომის დროს შექმნილი, ერთნული ლეგიონების თავდადებული ბრძოლები? ერთადერთი მათი მიზანი ამ რუსეთის კავშირიდან გამოსვლა არ იყო, თანახმად შემდეგ დაწერილი ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუციის მე-17 მუხლისა?

აი, სადამდე მიდის ველიკორუსეთის ცინიზმი და თქვენი სიბრძავე და სიმბთაღე, ხრუშჩოვის კარზე მოახლედ—თუ თიყუშად აყვანილო, შევჩენკოს დიდი ერის საცოდაო შვილო ტინინო!

აი როგორ იცავს საბჭოთა რუსეთი კონსტიტუციის მე-14 მუხლით: «ამ ერების სუვერენულ უფლებებს».

სინამდვილე ის არის, რომ ფაქტიურად რუსეთის ცენტრალური ორგანოები ანხორციელებენ ყველა უფლებათ, რომელნიც მითვისებულნი აქვსთ მათ. თანახმად მათგანვე დაწერილი და ნაბრძანები კონსტიტუციის მე-14 მუხლის ძალით, და ამ რუსეთის მთავრობის დადგენილებანი და განკარგულებანი სავალდებულოა ს. ს. რ. კავშირის მთელ ტერიტორიაზე და ეს თანახმად იმავე კონსტიტუციის მე 57 მუხლისა.

ეს ამართლებს, ანხორციელებს და ძალაში სტოვებს ღუნინის ნაციონალურ პოლიტიკას: «ძველი რუსეთის ფარგლებიდან გასული ერების კვლავ თავის მოყრა-შეკავშირებას და შედუღებას. იმ სახით, რომ წარმოუდგენელი იყოს და დაუშვებელი მათი ხელახალი გაყოფა-განაწილება».

ამ საარაკო და საზღაპრო კონსტიტუციაში, თავი თავს მისდევს, მუხლი მუხლს. მათვე მისდევს ფეხდაფეხ. პარალელურად სიცრუე-სიცრუესა და სიყალბე-სიყალბეს. ამ ბინძურ მდინარეში ჩავარდნილა ტინინიც. მისდევს და მიჰყვება მის მიმდინარეობას და შეგნებით თუ შეუგნებლად იმეორებს სიცრუე-სიყალბეს და ცრუმოწმედ—ცრუ კონსტიტუციას—იმოწმებს. ყველაფერი უკულმაა შებრუნებული: აქ კუდი, თვით მელას ასახელებს მოწმედ.

კონსტიტუციის მე-125 მუხლის ძალით უზრუნველყოფილია: სიტყვის, ბეჭდვითი-სიტყვის, კრებისა და მიტინგის, ქებაში გამოსვლისა და დემონსტრაციის თავისუფლება. ჯერ საკითხავია: მართალი სიტყვის თუ ტყვილი სიტყვის.—ცხადია, რომ უკანასკნელის. ეს მუხლი არას ამბობს ადამიანის აზროვნების თავისუფლებაზე. მართალი სიტყვა, ხომ ადამიანის თავისუფალი აზროვნების უშიშრად გამოთქმა და გამოშვლება. ან რომელი მიტინგისა და დემონსტრაციების თავისუფლებაზე ლაპარაკობს ეს 1947 წ. დაბეჭდილი კონსტიტუცია: 1955 წლის პოზნანის მუშათა კლასის ცნობილი დემონსტრაცია. ბუდაპესტის ამბებზედ, რომ აღარა ვსთქვათ, ან და 1956 წლის ქართველი სტუდენტობის მშვიდობიანი დე-

მონსტრაციები, არ ეთანხმებოდა კონსტიტუციის ამ მუხლებს. რომ სისხლის ზღვაში ჩაახრჩვეს?

მე-127 მუხლის ძალით «ს. ს. რ. კავშირის მოქალაქეთათვის, უზრუნველყოფილია მათი პიროვნების ხელშეუხებლობა». აქაც საკითხავია, როგორი ან რომელი პიროვნების? ისეთი პიროვნების, რომელსაც ამ თერმინის ნიშანდობლივი, ადამიანური ღირსება აღარ აქვს და მეობა, თუ ისეთი პიროვნების, რომელიც, თავისუფალი ქვეყნების გავებითა და შეწყენებით, ადამიანის ღირებულებათა და საკუთარი მეობის მატარებელი არის? თუ უკანასკნელი კათეგორიის პიროვნებას ეხება ეს მუხლი, მაშ რათ შევხებ არა თუ ხელით, ტყვიითა და ცეცხლით ან პოზნანის, ან ბუდაპესტის. ან თბილისის დემონსტრატებს. უკანასკნელთ ხომ ზედმეტ გარანტიათ ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდათ.

ამ საბრალო ხალხისათვის, შექმნილი საცოდავი კონსტიტუციის მე-128 მუხლით უზრუნველყოფილია ხელშეუხებლობა მათი საცხოვრებელი ბინისა და დაცულია მათი მიწერ-მოწერის საიდუმლოება.

ს. ს. რ. კავშირის ცხოვრების მკოდნეთათვის და განსაკუთრებით იქ მცხოვრებთათვის, ესეც იმდენადევა დასაჯერებელი, რამდენადაც სხვა მუხლების სინამდვილე.

დაბოლოს ამ კონსტიტუციაში ერთი მუხლიც აღმოვაჩინეთ, ფრიად საპატივემლო, ვინაიდან ის ერთად-ერთია, რომელსაც შეიძლება მართლის მოქმედი უწოდოთ. ეს არის მე-126 მუხლი რომელიც ამბობს «ნებადართულია იმავე მშრომელთათვის გაერთიანება ს. ს. რ. კავშირის ერთობლივ კომუნისტურ (ბოლშევიკურ) პარტიაში». კონსტიტუციის 146 მუხლთა შორის, ეს ერთად-ერთი მარგალიტია «წამომკდარ სიმართლედ». ნათქვამი, რომელიც მთელი კონსტიტუციის მორალურ ღირებულებას, განსაცვიფრებელის ლაქონიურობით იძლევა: მარცხენა ყბით, ათასჯერ ნათქვამსა და განმეორებულ გასხივოსნებულ სიტყვებს: ავტონომია-თვითმართველობა-თვითგამგებლობა-თვითგამორკვევა-დამოუკიდებლობა-სუვერენობა ავტონომიურ რესპუბლიკათა: პიროვნების თავისუფლება-ხელშეუხებლობას კონსტიტუციით ბოძებულს ძალას უკარგავს და აუქმებს. აზროვნების თავისუფლებას ხომ ქვეყნელს უთხრის. ჩვენს მიერ ამ წერბოში გამოთქმულ აზრებსა და შეხედულებათ ადასტურებს და ავტორიტეტულ ბეჭედს ასვამს. ის ერთხელ კიდევ ამართლებს, ჩვენს ძველ თქმულებას, რომელიც სიზუსტით უდგება ს.ს.რ. კავშირის კონსტიტუციის და მოკლედ უპასუხებს მარცხენა-წარბმოკლევ ტიჩინსაც:

«სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უხის დიდი ზღვარი».

მლ. პარტიძე.

### მართი „აკადემიკოსის“ არაკადემიური განცხადების გამო

ოქტომბრის «რევოლუციის» ერთ-ერთი შიშიმე და საშიშარი მემკვიდრეობა ჭეშმარიტი აკადემიური მადლობის დაკარგვაა. უმაღლესი სასწავლებლები და განსაკუთრებით უნივერსიტეტები იმ თავითვე ზვარავად შეეწირა თავში დაკარგულ რევოლუციონური წრის პრეტენზიებს. მათი დამოუკიდებლობა გათელეს, ინტელექტუალური ძალების შერჩევა და პროგრამების გამომუშავება რეგვენებს და უმეცრებს გადასცეს, მთლიანად აკადემიური ცხოვრება—კვლევა-ძიება, კრიტიკა და მეცნიერულ შრომათა შეფასება, მათი კვალიფიკაცია, სული და მიმართულება დაამახინჯეს და გაამრუდეს. ერთი სიტყვით აკადემია «რევოლუციის ტექნიკუმიად» აქციეს.

რა არის აკადემია? რისთვის არის მოწოდებული? რა არის საჭირო იმისათვის რომ აკადემიის დონე თავის სიმალღებე იყოს? აკადემია ადამიანის აღზრდის და განათლების უმაღლესი საფეხურია. მისი «საგანი» არა ბავშვია და ჯუჯელი, არამედ გონებრივად მომწიფებული ადამიანი. აკადემიის მიზანია—აღზარდოს და ჩანერგოს მასში დამოუკიდებელი აზროვნება, დამოუკიდებელი კვლევა და დამოუკიდებლად ასახვა თავისი საკვლევო საგნის. აკადემია შორსაა ტვინ-დაკეტილ დოგმატიზმიდან, ის იძიებს, იკვლევს და ეწევა დინამურ და შემოქმედებით ცხოვრებას, სავსეს მოვალეობის და პასუხისმგებლობის შეგნებით. ამიტომ აკადემია მოითხოვს მთლიან, განუკვეთელ ადამიანის პიროვნებას მთელი თავისი ფიციურით. ეს თეტიური, ინტელექტუალური და რელიგიოზური ცხოვრებით. და ის პირველი რასაც ასე სასტიკათ ებრძვის ჭეშმარიტი აკადემია—ეს «გარედან» მოტანილი გაყინული სქემები და ტრაფარეტებია. აკადემიური აზროვნება იქაა ჭეშმარიტი, სადაც მასში ამოკვეთილია იმულებითი მომენტი. აქედან ცხადია, ამოსავალი წერტილი აკადემიისა—თავისუფლება—ეს კათეგორიული იმპერატივი, აუცილობელი პირობა ჭეშმარიტი აკადემიისა. სადაც ეს პირობა არ არსებობს იმ მეფობას აზრის სიმწირე და სილატაკე, სრული დაშლის და განადგურების. ქვეყნის ღირებულებათა მარაგი სიბნელით მოცული კოშკი იქნებოდა, მის ზედაპირზე ამ თავისუფალი აზრის სხივი რომ არ გადაკრავდეს. აკადემიაში უმრეტად უნდა სჩქედდეს ბეჯითი, ნაყოფიერი შემოქმედის, ერუდიტის, შთაბეჭდილებათა და იდეების შემგროვებლის ენერგია ჯვლადურის გატრაფარეტების და გამრუდების კომუნის ტურმა უნარმა ეს აზრი აკადემიაზე. ჩააჯინა და ჩაქულიტა დიალექტურ მატერიალიზმის ვიწრო სარეცელში და როგორც ზევით აღვნიშნეთ ის «რევოლუციის ტექნიკუმიად» აქცია ე. ი. პარტიის



საპროპაგანდო ორგანოთ, სადაც მოქმედების თვითარსი ღირებულების შემცველი მოღვაწეობა ამოქნილი და მოხსნილია. საბჭოთა აკადემიების ეს უსაწყლესი ვითარების დრამა ყველასათვის ცნობილია და არც გვაკვირვებს. მხოლოდ რაც ჩვენ გვაკვირვებს და გვაღელვებს—ეს საბჭოთა საქართველოს აკადემიის ოდესღაც ვიცე პრეზიდენტის, ძოწენიძის თავხედური განცხადება: «ვის რაში უნდა ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, პავლე ინგოროყვას და სხვათა ფეოდალური საქართველოს ისტორიებიო.—წარსულის ქექვას თავი დაანებეთ. ამაზე უფრო სერიოზული საგნები გაქვთ» თ. «აკადემიკოსს» ძოწენიძის ასეთი არაკადემიური განცხადება, რომ წაიციოთხეთ უნებლიეთ წამოვიძახეთ გაოცებულმა: ერიპაა!...

აი. დაუსტვინეს რომ იტყვიან, სწორედ ეს არის.

დიდი ილია რომ დავიხმაროთ ყოველ ამის ღალად მტკმელს სად უნდა ამოვაყოფინოთ თავი. თუ ქვეყანაზე სამართალია? განა უკვათ მყოფელმა კაცმა. მინამ ამას იტყოდეს ყველაზედ უწინარეს თავის ადამიანობაზე და ქარცველ ობაზე ხელი არ უნდა აიღოს?.. განა ყოველივე მოვალეობა თავის ქვეყნის წინაშე არ უნდა დაივიწყოს და ქვემდროშავით მართო მიწა არ უნდა ლოკოს? გაგიგონიათ ვისმე ასეთი პირ-მოხეული ურცხვობა. რომ კაცმა. თავის უწმინდური სიტყვის გასაცვანად განზრახ უარპყოს საჯაროთ, საქვეყნოდ თავის ქვეყნის ისტორიის შესწავლა... ლამის ოჯახები თავზე წამოგვექცეს, მიწა-წყალი ხელიდან გამოგვეცალოს. სახელი ქართველისა დედამიწის ზურგიდამ აიგავოს. ლამის სული ამოქანდაც მივიდეს».

რასაკვირველია. უკუანაღრობი და უკუღმართი მოაზროვნენი ყოველ ერს ჰყავს. მაგრამ არ ვფიქრობთ ძოწენიძის მინაგვარი რამ რომელიმე სხვა ერის ცხოვრებაში გაეხმიანებოიას ვინმეს ოდესმე. ჩვენ ძალიან კარგათ გვესმის და ვიცით თუ რა დიდსა და საშვილიშვილო საქმეს აკეთებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ჩვენდა სასიხარულოდ საქართველოს ამ ქამად ჰყავს ისეთი პლეადა ენათა მეცნიერების. რომელთა სახელები მსოფლიო უდიდეს უნივერსიტეტებს და აკადემიებს დაამშვენებდა. ვიცნობთ მათ: დასკვნაში—აუჩქარებლობას, პიპოტეზაში—ზომიერებას, დიდ უაზვარობას და თავგამოდებულ შრომას. ზღვარ უდებელია ჩვენ მეცნიერთა მოთმინება, ნებისყოფა და სიყვარული ჩვენი წარსულისადმი. ნიკო მარის. ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილის და მათ უებრო მოწაფეებს დაუღალავ ძიების წყურვილმა ამოკენა მტერთა მიერ დაღწეულ და დანგრეულ საქართველოს სახელმწიფოს ნანგრევებიდან ჩვენი წარსულის უამრავი კულტურის ძეგლები. შორს რომ არ წავიდეთ. ისეთი ღირსშესანიშნავი ძეგლების აღმოჩენა რაგორიც არიან ჩველ-

მწიფის კარის გარიგება» და «ქართლის ცხოვრების» ანასუელი ვარიანტი, საქართველომ ექვთიმე თაყაიშვილს და ივანე ჯავახიშვილს უნდა უმადლოს.

მოსკოვისადმი ეშხით დამთვრალ ძოწენიძის მყვირალა განცხადებაზე «ვის რაში უნდა და ესაუბროება «ფეოდალურ» საქართველოს წარსულის შესწავლა?» ჩვენი პასუხია— ის ესაუბრა საქართველოს, საქართველოს ისტორიის ფილოსოფია (ისე როგორც ყოველი ერის) გვევალეებს ვიცოდეთ, წარსული მხოლოდ შედარებით არის წარსული. სრულიად მოკვეთილი ის აწმყოსთან არ არის და ვერ იტყება ვიდრემდის ცოცხლობს ის არსი, რომელმაც ეს წარსული შარა-გზა გაიარა. ძოწენიძის «ფეოდალური» საქართველო, ჩვენი ვიცისკი «ქართლის ცხოვრების» საქართველოს წარსულია და ამ დროულად არ არსებულ იც. მაგრამ მის ისტორიულ მსგელოებაში ჩვენი ერის მიერ განცდილი უირ-ვარაში, ლხინი დუ სიხარული ღრმად არის ჩაქსოვილი მის ზნეთა-ჩვეულებებში, ხასიათში, ზრახვა-მისწრაფებებში და აზროვნებაში. ეს ასე ესტყვათ, მეთოდოლოგიური სიკედი (არა მარტო მეთოდოლოგური) არასოდეს არ უნდა მხედველობიდან დაეკარგოთ თვითთანამედროვე კითხვების გარჩევის დროს. აღბად ამდებულეზიდან გამოდიოდა ზოგი ჩვენი ისტორიკოსი, როდესაც საქართველოს უახლოეს წარსულის ხანას იკვლევდა ე. ი. საქართველოს ისტორიის უშესანიშნავეს და უმაგალითო ხანას მე 18 საუკუნეს. რომელიც მისი შინაარსის მრავალ სხიანიობითა და დანახარჯ ენერჯის და განცდების რაოდენობით, ოქროს ხანასაც არ ჩამორჩება— ხანას რუსეთთან დაახლოებისას და ურთიერთობისას. ამ ხანის კრიტიკულმა ანალიზმა და კვლევამ ჩვენი ისტორიკოსები მიიყვანეს შემდეგ დასკვნამდე: საქართველოს რუსეთთან დაახლოებას სარგებლობა არა მოუტანია რა, ზიანი კი აუარებელი, რომ ძნელად მოიპოვება მთელი მსოფლიოს ისტორიაში მეორე მაგალითი. რომ კაცთმოყვარეობრივ და ქრისტიანულ დახმარების საშოსელში იმოდენა გამცემლობა და ვერაგობა მოთავსებულ იყოს. რამდენიც დაგოვდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში პეტრე დიდიდან დაწყებული, — რომ ასეთი სრული დაცემა საქართველოს არ განუცდია. მიჯნაზე იმ საუკუნის, რომელიც ერთა თავისუფლების საუკუნეთ იწოდება, ქართველი ერი ჰკარგავს სახელმწიფოებრივ არსებობის ყველა თვისებებს ათას შავ ბნელ წელთაგან დაცულსა და გადარჩენილს. ასეთია ჩვენი ისტორიკოსების დასკვნა— დასკვნა უღმობელი და შეტად გაბედული. აი რა არ მოსწონს, რატომ კუნტრუშობს და რა აღელვებს ძოწენიძეს.

ჩვენ სრულიად არ მივაქცევდით ყურადღებას მის განცხადებას— განცხადებას, რომელიც რაფიელ ინგილას უნით რომ ვთქვათ, გამყვირალ კომუნიისტების დაგვიანებულ

სანკცია და აკრძალვა, მაჩვენებელი ინტელექტუალური სისუსტის და სიკოტრის. მაგრამ ამ განცხადებას, დასმენის, დაბეზღების და გამცემლობის სუნი უღის. მოსკოვის ყურმობრილი პირუტყვი განაგრძობენ თავიანთ მოღვაწეობას. კერძოთ, საქართველოს აკადემიის ყოფილ ვიცე პრეზიდენტს ძოწინიძეს, ჩვენ კომუნისტობასაც არ უწუნებთ. დეე, მას კომუნისმისათვის კისერი უტეხია. ჩვენ მას (და მის მზავესთ) ვუწუნებთ ქართველობას, რომ ის ორგული ქართველია. ორპირი კაცია, ქართველებთან კაჟანებს, კვერცხებს კი სხვაგან ეზიდება.

მაღლა კალანდამე.

## საეკლესიო ცნობება:

### როდოსის კონფერენციის ანაგმალი

მაგრითის რაიოდს გადაეცემა ესპანურათ.

დაკვირვებანი, განმარტებანი და შეფასებანი შარშან დამთავრებულ საბერძნეთის კუნძულ როდოსსზე ყოველთა მართლმადიდებელ ეკლესიათა კონფერენციისა გამო ამჟამათაც გრძელდება. ეს სრულიათ გასაგებია. უკეთეს მივიღებთ მხედველობაში, რომ პირდაპირი და უშუალო კონტაქტი მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის შეშვიდე მსოფლიო კრების შემდეგ არ არსებობდა.

უპირველეს ტახტზე მჯდომ კოსტანტინოპოლის პატრიარქის სახელზე არაერთხელ მიმართულ ყოფილა მთელს სამყაროში მიმობნეულ მორწმუნე მართლმადიდებელ ხალხთაგან აჯა. ავტოკეფალურ ეკლესიათა შორის მუდრო თრთიერთობის დამყარებისათვის და აგრეთვე მერვე მსოფლიო კრების შესაძლებლობისათვის.

როდოსის კონფერენციას სხვა ებრვე არსებით საკითხთა შორის უნდა განემზადებინა ნიდაჯი აღნიშნულ პირველხარისზოვან მოთხოვნილებათათვის.

შეასრულა როდოსის კონფერენციას თავისთავზე აღებული ამოცანა უნდა აღნიშნოთ სამწუხაროთ, რომ ფრიალ ზერელეთა და ტენდენციურათ. ამ კონფერენციასზე თავი შოიყარეს თოთხმეტ ავტოკეფალურ და ეგრეთ წოდებულ ავტონომიურ ეკლესიათა წარმომადგენლებმა. შათ შორის ჩათვალეს «ავტოკეფალურ» ეკლესიებათ რვა ეკლესია საბუთთა კავშირში, მიუხედავთ იმისა, რომ პანონიურ ავტოკეფალურ ეკლესიებათ დღევანდელ რუსეთის ფარგლებში ითვლებიან მხოლოთ ორი: ძველი ივერია-საქართველოისა და რუსეთისა მთლიანათ, დანარჩენი ექვსი—თვითშექმნილი და ყოველივე ხვეკლესიო უფლებას მოკლებულნი, რომელთაც ადგილი უნ-

და ჰქონდეთ მხოლოდ უღვთო საბჭოთა-კომუნისტურ საყოფელში. ეკლესიურ-კანონიკურ წესთა უარყოფელისა და ამ «ეკლესიებით» მსარგებელისა თავის პროპაგანდისათვის უცხო ქვეყნებში.

როდოსის კონფერენციებზე საბჭოთა კომუნისტურმა ხელისუფლებამ მოწადინებობით წარგზავნა «ჩეკისტ» «ოტბერ-პროკურატორის» კუროდოვის რეკომენდაციით ყოველმხრივ თვალში შემყური ამ უღვთო ძალაუფლების მიმართ ეპისკოპოსნი ვგრეთწოდებულ ავტოკეფალ ეკლესიებისა, კარგათ მცოდნემ, რომ ხმისმიცემისას ექვსი სამის წინააღმდეგ იტნება მითვალული საბჭოთა კომუნისტურ «დელეგატების» სასარგებლოთ.

ასეც მოხდა: კონფერენციის პროგრამაში ირიცხვებოდნენ წინასწარ შემუშავებული პუნქტები, რომელნიც აღნიშნავდნენ კანონიკურ და ადმინისტრაციულ საკითხებს, მათ შორის ბრძოლას მატერიალიზმისა და ათეიზმის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი პუნქტები ხმისმიცემისას ამოშლილი-იქმნენ საბჭოთა დელეგატების ზეგავლენით.

უკვე ეს გარემოება კმასაყოფელი აღმოჩნდა იმის გამოსარკვევათ, რომ როდოსის კონფერენცია არავითარ დადებით დანასკვნს ვერ მიაღწევდა. რაკი იქ მოწაწილეთა შორის საბჭოთა ხელისუფლების მიერ წარგზავნილნი სპარბობდნენ.

როდოსის კონფერენციაზე ზოგიერთ დელეგატებმა გამოსთქვეს სურვილი, რათა მოპატივებულ ყოფილიყვნენ სხვადასხვა ქვეყნებში მიმოზნეულნი მართლმადიდებელ ეკლესიების წარმომადგენელნი, ვინაიდან ეს ეკლესიები, საბჭოთა რუსეთისაგან დამოუკიდებელნი მწესობენ სამშლილონზე მეტ მორწმუნეთ და ირიცხვობენ ოცდახუთზე მეტ მღვდელმთავრებს (მათ შორის—ჩემი და პარიზის ქართული ეკლესიები),—და აი ეს ბუნებრივი სურვილი მოიხმონ საერთო ქრისტიანულ მუშაობაში მართლმადიდებელი ეკლესიები. სადაც არ უნდა იმყოფებოდეს მათი კანონიკური არსებობა.—ეს პუნქტიც ამოშლილიქინა კონფერენციის პროგრამიდან კუროდოვის დირექტივებით «შემოსილ» ნებააყრილ გასაბჭოებულ რუს ეპისკოპოსებისაგან.

ასე უკუღმართათ და ყველა მორწმუნეთა გულის შემზარავთ დამთავრა თავისი დღენი როდოსის კონფერენციამ, რომელზედაც ასობით მილიონი მართლმადიდებელი ამყარებდნენ სასოებას, რომ იგი შესძლებს მოაახლოოს ყოველთა მიერ სანატრი გაერთიანება სადიდებლათ უფლისა იესო ქრისტესი მერვე მსოფლიო კრებაზე.

საბჭოთა კომუნისტური ბინძური ხელი, ჩვენ ყოველთა სამარცხვინოთ, მიეტმასხა თავისუფალ ეკლესიებსაც.

რ. ინგილოდ.

სრულიად საქართველოს ეკლესიის ქათალიკოს-  
პატრიარქი, მისი უწმიდესობა—ეფრემ მე-II პატრიარქი

ერთი წლის წინ, როდენის კუნძულზე გამართულ მსოფ-  
ლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა ყრილობას ვერ დაეს-  
წრო საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის წარმომადგენე-  
ლი. მისი სახელით რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელი ლა-  
პარაკობდა. ამ მოვლენამ ქართული ემიგრაციის პროტესტი  
გამოიწვია, რომელიც გამოქვეყნდა «ივერიის» წინა ნომერში.

1962 წლის აგვისტოს 7-დან 17-მდე პარიზში შესდგა მსო-  
ფლიო ეკლესიათა საბჭოს ყრილობა, რომელსაც დაესწრო:  
მართლმადიდებელ, ძველ-ქათალიკურ, ანგლიკანურ და პრო-  
ტესტანტული, 200 ეკლესიათა წარმომადგენელი. სიამოვნე-  
ბით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ყრილობას დაესწრო, პირა-  
დათ, საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის ქათალიკოს-  
პატრიარქი, მისი უწმიდესობა ეფრემ მე-II. ეს მოვლენა მით  
უფრო ისტორიულია, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაურ-  
მა პირველად დაადგა ფეხი საფრანგეთის მიწას და პირველად  
მიიღო მონაწილეობა მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს ყრილ-  
ობაზე.

ყრილობაზე დასმულ საეკლესიო მნიშვნელოვან საკითხ-  
თა შორის, დღის წესრიგში დაისვა საკითხი ქართულ ავტო-  
კეფალურ ეკლესიის, მსოფლიო ეკლესიათა საბჭოში მიღე-  
ბის შესახებ. მსჯელობის დროს მოსკოვის ეკლესიის წარმო-  
მადგენელმა, მათი ტრადიციისდა მიხედვით განაცხადა, რომ  
საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური და დამოუკიდებელი  
გაბდა მხოლოდ 1917 წლის რევოლუციიდან!

მიუხედავად ამ ცდისა, საქართველოს ავტოკეფალური  
ეკლესია მიღებულ იქმნა, როგორც სრულუფლებიანი წევრი  
მსოფლიო ეკლესიათა საბჭოში.

მისმა უწმიდესობამ, სრულიად საქართველოს მართლ-  
მადიდებელ ეკლესიის ქათალიკოს, ეფრემ მეორემ, სამადლო-  
ბელ სიტყვაში, მოკლედ აღნიშნა საქართველოს ეკლესიის  
ისტორიული მომენტები, მისი დარსებებიდან დღემდე: «პირ-  
ველი წინასწარმეტყველი საქართველოს რომ მოეგლინა იყო  
წმიდა ანდრია სიმონ ხანცდელის თანხლებით, უკანასკნელი  
მიიცვალა საქართველოში და დასაფლავებულია აფხაზეთში.  
წმიდა ნინო კავადოკიელმა გააქრისტიანა საქართველო 325  
წელს, მირიანის მეფობის დროს. ტრადიციის მიხედვით, სა-  
ქართველო მიჩნეულია მღვთისმშობლის კალთის ღმარველო-  
ბის ქვეშ. ქართული ეკლესიის საქმიანობა საქართველოს სა-  
ზღვრებსაც კი გადასცდებოდა: პალესტინაში, ეგვიპტეში,  
საბერძნეთში, ბულგარეთში და სხვ. ქვეყნებში სარწმუნოე-  
ბრივ და კულტურულ დაწესებულებათა დაფუძნებით. ქართ-  
ველმა ხალხმა მისი მოქცევიდან 16 საუკუნე, ქრისტეს ჯგა-

რის ქვეშ ებრძოდა ქრისტიანიზმის უსაშინელეს მტრებს, მისი მიწის ყოველი ნაკვეთი მორწყულია წამებულთა წმინდა სისხლით. ამ თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში, საქართველოს ეკლესიამ პირველად 1811 წელს დაპყარგა დამოუკიდებლობა. საქართველოში შემოჭრილმა რუსეთის იმპერატორმა წაართვა მას ეს წმინდა უფლება. 1917 წლამდე მას ფლობდა რუსეთის წმიდა-სინოდის ეკზარხი, რომლის ავტორიტეტი არასოდეს არ უცვნიდა საქართველოს ეკლესიას.

1917 წელს ქართველმა ერმა ისევ ალადგინა მისი ეკლესიის ავტოკეფალია. შემდეგ ხანებში მოსკოვის პატრიარქის წყალობით, რუსეთისა და საქართველოს ეკლესიათა შორის ნორმალური ურთიერთობა არსებობდა»-ო.

«1917 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენიდან, მე მეშვიდე და ამავე დროს, სრულიად საქართველოს ეკლესიის დასაწყისიდან მე-137 ქათალიკოს-პატრიარქი ვარ»-ო დაასკვნა მისმა უწმიდესობამ.

მთელი ყრილობა ფეხზედ ამდგარი ხანგრძლივი ტანით მიეგება სრულიად საქართველოს ქათალიკოს-პატრიარქს. მის უწმიდესობას ეფრემ მეორეს.

ყრილობის დამთავრების შემდეგ მისმა უწმიდესობამ შემდეგი განცხადება გააკეთა საფრანგეთის რადიო-გადაცემის მიკროსთან:

«ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას სრული შეგნებით ვსმის მსოფლიო ქრისტიანულ ეკლესიათა საბჭოს მიერ დასახული მისია, დარწმუნებული, რომ ის სახარების ქუმარტიტებაზე დაყრდნობილი, გაუწევს მთელს კაცობრიობას დიდს დახმარებას, მისი სულიერი და მიწიერი ცხოვრების მოწყობისათვის. გამოსტყვამს სიხარულსა და ამავე დროს უღრმეს მადლობას ეკლესიათა საბჭოში მისი მიღებისა გამო».

«ქართული ეკლესია ღრმად არის დარწმუნებული, რომ ის შესძლებს ამ წმინდა საკურთხეველზე თავისი მსხვერპლის პირნათლად მიტანას».

«საფრანგეთის ხალხსა და მის მთავრობას, უღრმეს მადლობას უცხადებ ჩემი, მათ მიერ თბილი და კეთილი მიღებისათვის».

ავვისტოს 11-ს, საღამოს 7 საათზე, მისი უწმიდესობა პარიზის ქართველობის წმიდანინოს ეკლესიის მრევლს პატივი დასდო და ეწვია. მოძღვარ მამა ილიას მეთაურობით, საქართველოს მრავალ ტანჯული ეკლესიის მეთაური, მიღებულ იქნა მისი ღირსებისათვის შესაფერი სრული მოწიწებითა და პატივისცემით, მთლიანი ქართული მრევლის თანადასწრებით. მოისმინა წირვა, რომელშიაც სათანადო მონაწილეობა მიიღო. შემდეგ მოკლედ წარმოთქმული სიტყვით და-

ლოცა და აკურთხა სამშობლო მიწა-წყლიდან მოწყვეტილი ქართველობა, «ეით ვაზიდან მოპირილი ლერწი» და ამცნო ქართველობას ქართული ეკლესიის სრულუფლებიან წევრად მიღება, მსოფლიო ეკლესიათა ოჯახში. მიიღო და გაიცნო ყოველი დამსწრეთაგანი. სახსოვრად დაუტრია მათ მისი უწმიდესობის სურათთან ერთად ქართული ეკლესია-მონასტრების სურათები და ჯვრები.

ეზოში მათთან მოკლე საუბრის შემდეგ, დასტოვა რამოდენიმე წუთით მისი ნახვით ბედნიერი ქართველობა, შეწუხებული, რომ მისი უწმიდესობის დადლილობისა და უდროობისა გამო, მას შესაფერი ნადიმი ვერ გაუმართა ქართულ ზნე-ჩვეულებათა მიხედვით.

«ივერია»-ს რედაქცია მისი მკითხველთა სახელით, უაღრესი კმაყოფილებით ულოცავს ქრისტიანულ საქართველოსა და ქართველ ერს მისი ეკლესიის მსოფლიო ეკლესიათა ოჯახში სრულუფლებიან წევრად მიღებას და მადლობას უცხადებს ამ გამარჯვების მომპოვებელ სრულიად საქართველოს ეკლესიის ქათალიკოს-პატრიარქს, მის უწმიდესობას ეფრემ მეორეს.

დეე! ეს ყოფილიყოს წინამორბედი, საქართველოსი და ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისა და სუვერენობის აღდგენისა.

### მამა ილიას წაჩინება

ამა წლის, იანვრის 13-ს, კვირას, პარიზის ქართველთა «წმიდა ნინოს» ეკლესიას ეწვია, კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის წარმომადგენელი, რეჯიოს ეპისკოპოსი მელეთეოსი. მისმა უწმიდესობამ, შეასრულა ცისკარი და წირვა, უამრავ ქართველ მოწმუნეთა თანადასწრებით. მრავალრიცხოვანმა გუნდმა, ლოტბარ ალ-ნაკაიძის ხელმძღვანელობით, საუცხოოდ შეასრულა ქართულ და ბერძნულ ენაზე საეკლესიო საგალობელი.

წირვის შემდეგ, მისმა უწმიდესობამ, სათანადო საეკლესიო ცერემონიით, «წმიდა ნინოს» ეკლესიის მოძღვარ მამა ილიას, მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ მისი დამსახურების აღსანიშნავად, მიანიჭა დეკანოზის ხარისხი და მისი ლოცვა-კურთხევით, მიართვა წმიდა ჯვარი. გონიერი და მგრძნობიერი მოკლე ქადაგებით, აღნიშნა ბერძნულ და ქართულ ეკლესიათა ისტორიული, ძმური ურთიერთობა. თანაც, ხაზი გაუსვა მამა ილიას მოღვაწეობა-დამსახურებას, ქართულ და მსოფლიო ეკლესიის ასპარეზზე.

მამა ილიამ, მოწიწებითა და მისადმი ჩვეულ ვებრივი თავ-

მდაბლობით, სამადლობელი სიტყვითვე უპასუხა მის უწმიდესობას, წარუდგინა და გააცნო პიროვნულად მისი მრევლის წევრნი. ამ მოკლე ცერემონიის დროს, გუნდი განუწყვეტლივ ასრულებდა საეკლესიო მრავალ-ჟამიერს.

მადლიერმა მრევლმა ძვირფასი წმიდა ჯვარი მიუძღვნა მის სულიერ მამას, დეკანოზ ილიას. საეკლესიო საბჭომ საპატივეცემლო სადილი გაუმართა ეპისკოპოს-მღვდელთოსსა და დეკანოზ მამა ილიას. უკანასკნელმა, ნაშუადღევს, ნიშნად მადლობისა, მიიღო და გაუმასპინძლდა მის მრევლს.

დეკანოზი მამა ილია, გარდა მის მიერ დაულაღვი მოღვაწეობისა ქართული ეკლესიის ფარგლებში, ფრიად მნიშვნელოვან მუშაობას აწარმოებს, მსოფლიო ეკლესიათა სარწმუნოებრივ ასპარეზზე—ყრილობა-კრებებზედ გამოსვლით, ქართული ეკლესიის სახელით. ამავე დროს ის თანამშრომლობს და მართლმადიდებელი ეკლესიის პრობლემებს აშუქებს, სარწმუნოებრივი ხასიათის უცხო პერიოდულ გამოცემებში.

«ივერის» რედაქცია, მის თანამშრომელთა და მკითხველთანამოაზრეთა სახელით, ულოცავს მამა ილიას მის აღმატება-წარჩინებას, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს, ქართული ეკლესიის სამსახურში. ამავე დროს, მადლობას უცხადებს მის ახლო თანამშრომელს დიაკონ ნ. მამულაიშვილსა და საეკლესიო საბჭოს, რომელნიც თავიანთი უანჯარო დახმარებით, უადვილებენ ჩვენ სულიერ მამას მისი მძიმე მოვალეობის პირნათლად აღსრულებას.

ამავე დროს არ შეგვიძლია, გულისტკივილით, არ აღვნიშნოთ ერთი ჩვენი ნაკლი, რომელსაც ისტორია არ გვაპატიებს: ძველი ქრისტიანული ქართველი ერის შეილება, საქართველოს საზღვრებს გარეთაც კი.—აღმოსავლეთ-ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში—აარსებდნენ ეკლესიამონასტრებს, მოღვაწეობდნენ საეკლესიო წიგნების თარგმნისა და გადაწერის დარგში. ჩვენმა ეროვნულმა ემიგრაციამ, უაღრესად ქრისტიანულ ქვეყნებში დაბინალებულმა, უგულუბელჰყო ეს წმიდა საქმე და ვერ შესძლო ერთი პატარა ქართული ეკლესიის აღშენება. იმედი უნდა გამოვსთქვათ, რომ ჩვენი ემიგრაცია, ამ ქრისტიანულ მოვალეობასაც შეასრულებს და ერთ ქართულ ეკლესიას ძველათ დაუდგამს. უცხოეთში ქრისტეს ჯვარის ქვეშ დასაფლავებულ რამოდენიმე ას ქართველს.

## მსოფლიო ანტიკომუნისტური

### კონფერენცია მალტის კუნძულზე

წარსული წლის ოქტომბრის 27-დან ნოემბრის 4-დღე კუნძულ მალტაზე გაიმართა საერთაშორისო ანტიკომუნისტური კონფერენცია, რომელზედაც მონაწილეობას ღებულ ობდენ, თავისუფალი მსოფლიოს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი და მათთან ერთად ემიგრანტულ ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი.

ქართულ ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრიდან მიწვეული იყო ორი წევრი, რომელთაც ვერ შესძლეს კონფერენციაზე დასწრება და სთხოვეს A. B. N-ის ლენერალურ შდიფანს, ჩვენს თანამემამულე, ბ. ნიკო ნაკაშიძეს ქართული პრეზლემის წარდგენა და დაცვა.

ბ. ნ. ნაკაშიძემ ღირსეულად შეასრულა მისი მამულიშვილური მოვალეობა: ფრიად მნიშვნელოვანი მოხსენება გააკეთა საქართველოსა და კავკასიის მდგომარეობის შესახებ, როგორც ქართულ ემიგრაციის წარმომადგენელი თავმჯდომარეობდა კონფერენციის ერთ-ერთ სხდომას.

A. B. N-ის თავმჯდომარე—იაროსლავ სტეცკოს და ბ. ნ. ნაკაშიძის მიერ გაშუქებულ იქმნა რუსული იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის საკითხები, რაც კონფერენციის მთავარი ყურადღების საგნად გახდა.

კონფერენციის მიერ, მრავალ რეზოლიუციათა შორის, მიღებულ იქმნა ერთმად, ამერიკის კონგრესსმან ვერსტენის მიერ წარდგენილი რეზოლიუცია, მოგვჯავს მისი მოკლე შინაარსი:

«1917 წლის რევოლიუციიდან დაწყებული კომუნისტურმა რუსეთმა ცეცხლითა და მახვილით ხელახლათ დაიპყრო მეფის რუსეთის დაშლიდან, განთავისუფლებული ერები; მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიპყრო და მისი ვაჟლების ქვეშ მოაქცია აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები. ამ ფეხმოდგმული სამხედრო ბაზებს აწყობს, თავისუფალი მსოფლიოს დაპყრობის მიზნით, ევროპის და ამერიკის კონტინენტზე».

«კონფერენცია ესალმება და მხარს უჭერს ამერიკის პრეზიდენტის მიერ მიღებულ გაბედულ ზომებს, რომლის შედეგია, საბჭოთა რუსეთის მიერ კუბაში მოწყობილ, სამხედრო ბაზების მოშლა».

«კონფერენცია ერთმად ადგენს, მიმართოს ჩრდილო ამერიკისა და დანარჩენ თავისუფალი ქვეყნების მთავრობებს, გააძლიერონ თავისუფალი ქვეყნების დაცვის მიზნით, საბჭოთა ქვეყნების ირგვლივ მოწყობილი სამხედრო ბაზები, რომლის მოშლა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მის შემდეგ, რო-

ცა საბჭოთა რუსეთი საოკუპაციო ჯარებს გაიყვანს—უკრაინა-ბელარუსეთ—ლიტვა-ესტონეთ-ლატვიაიდან, საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯან-ჩრდილო-კავკასიიდან. თურქმენისტან-ყაზახისტანიდან, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები: პოლონეთ-ჩეხოსლოვაკია-უნგრეთ-რუმინეთ-ბულგარეთ-ალბანეთიდან,—და ამქვეყნებს შესაძლებლობა მიეცემათ, მათი დამოუკიდებლობის აღდგენისა და თავისუფალი არსებობისა».

### «ანტიკომუნისტური ლიგის»

#### კონფერენცია ტოკიოში

1962 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ტოკიოში შესდგა, აზიის ქვეყნების ანტიკომუნისტური ლიგის მე-8 კონფერენცია. იაპონიის ყოფილ პირველ მინისტრ ნობუისუკე კიშის თავმჯდომარეობით. მონაწილეობას ლებულობდნენ: ავსტრალიის, თავისუფალი ჩინეთის, პონკანგის, პაკისტანის, სპარსეთის, იორდანის, კორეის, ახალ-ზელანდიის, ფილიპინის, ტაილანდის, ვიტნამის, თურქეთისა და იაპონიის წარმომადგენელი.

მეთვალყურეებად მიწვეულ იყვნენ ევროპა-ამერიკა-აფრიკის ხალხების წარმომადგენელი და საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი ხალხების ემიგრანტული პოლიტიკური ორგანიზაციები (ABN), (ACEN) და სხვები.

ქართული ემიგრაციის ეროვნულ-პოლიტიკურმა ცენტრმა, მისალმებასთან ერთად, წერილ თბილისი მოხსენება გაუგზავნა, კონფერენციის პრეზიდენტს, საქართველოს პრეზიდენტის შესახებ. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენმა მეგობრებმა, ABN-ის თავმჯდომარე ბ-ნ იაროსლავ სტეცკომ და მისმა მეუღლემ ქ-ნ სლავა სტეცკომ, ენერგიული მონაწილეობა მიიღეს კონფერენციის მუშაობაში, ეროვნული პრეზიდენტის დასაცავათ.

კონფერენციამ ერთხმად მიიღო თურქეთის წარმომადგენელ პროფესორ სიუკოიუ ესმერის მიერ წარდგენილი რეზოლიუცია. საბჭოთა რუსეთის კოლონიალიზმის შესახებ.

მოგვყავს რეზოლიუციის მნიშვნელოვანი ადგილები.

აზიის ქვეყნების ანტიკომუნისტური ლიგის მე-8 კონფერენცია, მსჯავრს სდებს და უარყოფს საბჭოთა რუსეთის კოლონიალიზმს. კომუნისტების დროშით, რომ თავისუფალ ერებს იპყრობს. მოითხოვს საბჭოთა რუსეთის კოლონიალური იმპერიის დაშლას და მის მიერ დაპყრობილი ერების, თავისუფალ-დემოკრატიულ სახელმწიფოთა აღდგენას.

«მიმართავს ერთა კავშირს (O.N.U.), რათა მათ დასცან საკითხი საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ და კოლონიალ ქვეულ: უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის.

ბელორუსიის, თურქესტანის, ჩრდილო-კავკასიის, ყაზახის-ტანის, პოლონეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, აღმოსავლეთ-გერმანიის, უნგრეთის და ბალტიის ქვეყნების.—განთავისუფლების შესახებ».

«გამორიცხონ O.N.U-ის შემადგენლობიდან, კომუნისტური ქვეყნების წარმომადგენლები და მათ ადგილას მიიღონ, საბჭოთა რუსეთის კოლონიალიზმისაგან განთავისუფლებული ერების წარმომადგენელი».

«მოუწოდებს თავისუფალ ქვეყნებს, აქტიური დახმარება აღმოუჩინონ, სამხედრო ძალითაც კი იმ ერებს, რომელნიც ეროვნული თავისუფლების აღსადგენად ბრძოლას გაუშართავენ მათ მპყრობელ—საბჭოთა რუსეთს».

«მადლობას უცხადებს ამერიკის კონგრესს, რომლის ერთ-ერთი რეზოლუციით დაწესებულია «კაპტივი ერების კვირა». ეს ამტკიცებს რომ ამერიკის კონგრესი ეჭმადება და მოითხოვს რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნების: უნგრეთის, უკრაინის, საქართველოს, პოლონეთისა და სხვათა განთავისუფლებას».

«მოუწოდებს თავისუფალი მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრს, რათა გავლენა მოახდინოს მათ პარლამენტზე და მთავრობაზე მოსთხოვონ მათ მხარი დაუჭიროონ და დახმარება აღმოუჩინონ საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერებს».



### და ვ ი თ ვ ა რ ე ა ძ ე

ჩვენს პოლიტიკურ ემიგრაციას კიდევ ერთი ქართული მამულიწვილი გამოაკლდა. წარსული წლის 23 იანვარს ქ. მიუნხენში მოულოდნელად გარდაიცვალა დავით ვაჩნაძე. მოხუცებულობამ და ბუნების უღმობელმა კანონმა თავისი გაიტანა. ალბათ ასეთი იყო მისი ბედისწერა, ასე უნდა დასრულებულიყო, ისეც უცხოეთში, მისი ბრძოლით განვლილი ცხოვრების გრძელი გზა. მართალია, ის უკვე ხანდაზმული (78 წ.). სიცოცხლის მიწურულში იყო, მაინც მისი დანაკლისი მტკივნეულად იგრძნობა მთელს ემიგრაციაში, განსაკუთრებით მის მახლობელ მეგობრებ-ნაცნობთა შორის.

აქ განსვენებული დავით ვაჩნაძე, ერთი თვალსაჩინო ეროვნული და პოლიტიკური მოღვაწე იყო, მას დიდი ამაგი მიუძღვის საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდანვე დაიწყო საზოგადოებრივი მოღვაწეობა, სამხედრო კარიერას თავი გაანება და სხვებთან ერთად სათავეში ჩაუდგა ქართულ ეროვნულ მოძრაობას. ის წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ილია ჭავჭავაძის მიერ


დაარსებულ საადგილ-მამულო ბანკში, იყო საუკეთესო მცოდნე საქართველოში მიწათმფლობელობისა და აგრარული საკითხებისა. ბევრი ადგილ-მამულები გადაარჩინა უცხოელების მიტაცებას და დაუნარჩუნა საკუთრებად ჩვენს უმიწაწყლო გლეხობას.

ის პირველი მსოფლიო ომის წინ ქურონალ «კლდე»-ში სწერდა დ. კახელის ფსევდონიმით. სწორედ საქართველოში ამ მტკივნეულ, მიწათმფლობელობის, საკითხების გარშემო, რადგან როცა რუსეთის თვითმპყრობელობამ განიზრახა ტირაფონის ველზე (ქართლში) რუსობა ჩამოესახლება, მთელი ქართველი ერი ამ ბოროტ განზრახვას აღშფოთებით შეხვდა — დ. ვაჩნაძემ, სხვა საზოგადოებრივ ძალებთან ერთად, პირველმა გაილაშქრა მთავრობის ამ გეგმის ჩასაშლელად.

როცა პირველი მსოფლიო ომის დროს უცხოეთში დაარსდა საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი მიხეილ წერეთლის, პეტრე სურგულაძის, ძმები კერესელიძების, გიორგი მაჩაბელის და სხვათა მეთაურობით, მათ მკიდრო კავშირი გააბეს საქართველოსთან, მუდმივი კონტაქტი დაამყარეს ერთობლივ მოქმედების მიზნით ქურონალ «კლდის» გარშემო შემოკრებილ ნაციონალისტურ ჯგუფთან, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ რ. გაბაშვილი, შალვა ქარტუშიძე, შალვა ამირეჯიბი და ბევრი ძველი საზოგადო მოღვაწენი, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლნი ამ ხელმძღვანელთა შორის დავით ვაჩნაძე ერთ თვალსაჩინო როლს თამაშობდა, ასრულებდა მეტად სახიფათო დავალებებს. ამ შეერთებული მუშაობის მთავარი მიზანი იყო, თუ რუსეთი ომში დამარცხდებოდა, ეს ხელსაყრელი პირობები გამოყენებული ყოფილიყო საქართველოს განსათავისუფლებლად.

მათ შემდეგ მიემატათ უცხოეთიდან ახლად დაბრუნებულნი სპირიდონ კვდია, გიორგი გვახავა, ალექსანდრე ასათიანი, რაფიელ ინგილო და სხ.. რომელნიც გაერთიანდნენ ყოველდღიურ გაზეთ «საქართველოს» გარშემო (1914 წ.), რომლის წილიდან შემდეგ წარმოიშვა იდეა ახალი პოლიტიკური პარტიის (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია) დაარსების აუცილებლობისა. ამის განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ რევოლუციის შემდეგ 1917 წ. ახალი პოლიტიკური პარტიის დაარსება კი მოითხოვდა წინასწარ დიდ ინტელექტუალურ ძალების დაძაბულ სამზადისს, იდეოლოგიურ საფუძვლების ჩამოყალიბებისა და ორგანიზაციულ გაფორმებისათვის. დავით ვაჩნაძეს აქაც თავისი წვლილი და ღვაწლი აქვს შეტანილი.

საქართველოს განათავისუფლების წინა პერიოდში ის დაულალავად მუშაობდა სხვადასხვა საზოგადოებრივ, კულტურულ და სამეურნეო დაწესებულებაში, სადაც საფუძველი ეყრებოდა მომავალ თავისუფალ საქართველოს სახელმწიფო-



დავით ვანწაძე.

ებრივ აღდგენის და აღორძინების დიად საქმეს, მის სულიერ და ნივთიერ განმტკიცებას. დიდის სიხარულით და აღფრთოვანებით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. მისი მკვდრეთით აღდგენას, მის განახლებას. არც ჯანს, არც ღონეს, არც პირად ქონებას ზოგავდა ეროვნულ თავისუფლების დაცვისა და შენარჩუნებისათვის იყო თავისუფალ საქართველოს პარლამენტის წევრი და მის მაღალ ტრიბუნიდან მდგრად იცავდა ქართველი ერის ინტერესებს, მის უფლებებს ზინაურ და გარეშე მტრებისაგან.

დავით ვანწაძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო 1811 წელს რუსეთის მიერ გაუქმებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში, როგორც ვიცით, რუსეთის სა-

ეკლესია სინოდი, არ იწყნარებდა საქართველოს ეკლესიის მეთაურთა მიერ, 1917 მარტის, მცხეთის «ათორმეტთა მოციქულთა» ტაძარში, მიღებულ დადგენილებას, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. ეს დადგენილება განხორციელებულ იქნა რევოლუციის გზით. დ. ვაჩნაძის მიერ შედგენილი რაზმის დახმარებით. ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის წინა ხანებში.

სულ სამი წელიწადი გაგრძელდა თავისუფლების ბედნიერი დღეები. მუხთალმა მტერმა კვლავ იხელთა დრო: ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა და შესძლო, მიუხედავად ჩვენი ჯარების სასტიკი წინააღმდეგობისა. ჩვენი ქვეყნის დაპყრობა და მისი დამოუკიდებლობის მოსპობა.

ამ ომში დ. ვაჩნაძე აქტიურ მონაწილეობასღებულა. მას კახეთიდან ჩამოჰყავს მოხალისეთა მნიშვნელოვანი რაზმი, რომელსაც შ. ქარუმიძის მიერ ხევისურეთიდან ჩამოყვანილ ცხენოსანთა რაზმთან ერთად, ბრძოლის ველზე გზავნიან. ამავე დროს სათავეში უდგას ერ.-დემოკრატიული პარტიის სამხედრო რაზმს, რომლის დანიშნულება იყო, თბილისის შიგნით მშვიდობიანობის და წესრიგის დაცვა. ამ რაზმის ერთ ნაწილს კოჯორის ბრძოლის ველზედ გზავნიან პოლკოვ. ელიზბარ გულისაშვილის მეთაურობით.

რუსეთის დამპყრობელ ბოლშევიკურ ხელისუფლებას ქართველი ერი ერთსულოვნად წინააღმდეგა და ბრძოლა გამოუცხადა. ჯერ ახდილად, მოურიდებლად. მასიური დემონსტრაციებით, შეიარაღებული გამოსვლებით საოკუპაციო რეჟიმს კრიკაში ედგა, მოსვენებას არ აძლევდა და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამხელდა მათ ბოროტ ზრახვებს. მათ მანვე საქმიანობას ქართველი ხალხის მიმართ. ქართველი ერის შეურიგებელ ოპოზიციას ოკუპანტებმა მკაცრი რეპრესიებით, დაპატიმრებით და დახვრეტებით უპასუხა.

ქართული პოლიტიკური პარტიების მთავარი ორგანო — «დამოუკიდებლობის კომიტეტი» ფარულ ბრძოლას აწარმოებდა, ეს კი ითხოვდა თავგანწირვას. მძიმე პირობებში არალეგალურ ცხოვრებას და ბრძოლის შეუნელებელ გაგრძელებას. ასეთ თავდადებულთა შორის იმყოფებოდა ჩვენი დათა ვაჩნაძე, დღიდან საქართველოს ოკუპაციისა. პირველ რიგში იდგა, დაკავშირებული იყო და დახმარებას უწყევდა ქაქუცაძის ოჯახისაშვილის რაზმს. საერთო აღჯანყების მიზნით დაარსებულ სამხედრო ორგანიზაციას, სათავეში ედგა კოტე აფხაზი. მისი დავალებით. ის საქართველოს ყოველ კუთხეში ქმნიდა სამხედრო ორგანიზაციების ქსელს. ამხნევებდა ხალხს და მოუწოდებდა გავლენიან პირებს, დარაზმულიყვნენ და შემოკრებილიყვნენ საერთო ეროვნულ ფრონტის გარშემო. რომ ვადამწყვეტ მომენტის დროს, შესაძლებელი გამხდარიყო, ერთსულოვანი, ძლიერი დარტყმით, საოკუპაციო ხელისუფლე-

ბის განადგურება და მონობის უღლის გადაგდება, თავისუფლების და დამოუკიდებლობის აღდგენა.

ქართველი ერის საბედისწერათ, შეთქმულების ეს წინასწარი სამხადისი, გამცემლობის და ლალატის ჩადენით, აღმოჩნდა იქნა, მისი მონაწილეთა უმრავლესობა დაპატიმრებულ და სიკვდილით წამებულ იქმნა. მტერმა ისარგებლა ამ შემთხვევით, ხელი მიჰყო საშინელ ტერორს, რეპრესიებს, მასიურ დაპატიმრება-დახვრეტას, შორეულ ციხეში გადასახლებას. დავით ვაჩნაძე იმულებული იყო დაეტოვებინა სამშობლო მხარე, როგორც ამ შეთქმულების აქტიურ მონაწილეს და უცხოეთში გადახვეწილიყო და იქიდან განეგრძო მტრის საწინააღმდეგო უკომპრომისო ბრძოლა. მან პირველ ხანებში თავი შეაფარა თურქეთს და იქ თურქ პოლიტიკურ წრეებში ეწეოდა საქართველოსთვის სასარგებლო მუშაობას. შემდეგ ის საბოლოოდ გადმოსახლდა ევროპაში და დიდხანს ცხოვრობდა საფრანგეთში, მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში მოხდა გერმანიაში და იქ ხარჯა უკანასკნელ დღემდის. აქაც ერთ წუთსაც არ შეუწყვეტია პოლიტიკური მუშაობა— საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე დაუცხრომელად ზრუნვა. მზურვალე მონაწილეობას იღებდა ყველა ქართულ ორგანიზაციებში, სწერდა საგაზეთო სტატიებს, გამოდიოდა საჯარო მოხსენებით და შეუპოვრად ამქაღვნიებდა მტრის ვერაგობას ქართველი ერის დასათურავუნელად მიმართულს. ახილ პროპაგანდას ეწეოდა უცხოელებში, სადაც კი მივსვლებოდა. ასევე უფრო დიდ მუშაობას ეწეოდა თვით ბოლშევიკური რუსეთის მიერ დაპყრობილ ერების პოლიტიკურ წრეებში, მოუწოდებდა ყველას საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ საერთო ერთი ფრონტით მოქმედებისაკენ.

განსაკუთრებით მან ბევრი იღვაწა კავკასიურ ერების შეთანხმების და გაერთიანებისთვის. დ. ვაჩნაძე ერთი პირველთაგანი იყო პოლიტიკური კლუბის «პრომეთეს» შექმნაში, სადაც ის ხშირად გამოდიოდა სხვადასხვა მოხსენებით, რომელიც შეეხებოდა კავკასიის პრობლემას, მის პოლიტიკურ ორიენტაციას. მომავალში მის კონფედერატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, მის სამხედრო თავდაცვას, მასში შემავალ ერების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. თანამშრომლობდა თითქმის ყველა ქართულ გამოცემებში, სწერდა უცხოეთის ეურნალ-გაზეთებში. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ბროშიურა, ქართულ და რუსულ ენებზე. უკანასკნელად მან დასწერა ვრცელი მოგონება, რომელიც შეეხება იმ ეპოქას, რომელშიდაც მას მოუხდა მოღვაწეობა. ამ თავის მოგონების გამოცემას ის აპირებდა ამ წლისათვის, მოულოდნელმა გარდაცვალებამ ეს გახზრახვა შეუსრულებელი დასტოვა.

მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა. ის მაინც დიდის

ინტერესით და ფიზიკურად ადევნებდა თვალყურს საქრთაშორისო მდგომარეობის განვითარებას, იმედს არ ჰქარავდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისას, მხნედ შეეუბრებდა ქართველი ერის მომავალს, სწამდა მისი საბოლოო გამარჯვება. მრავალ ტანჯული, ჭირნახული მებრძოლი განმორდა ამწუთისოფელს, დაიმარხა შორეულ უცხოეთში, ისე რომ ვერ იხილა მისი საყვარელი საქართველო თავისუფალი-სუფალი.

განთავისუფლებული საქართველო არ დაივიწყებს მისი უფლებებისა და არსებობისათვის მდგარ მებრძოლს, და მას ღირსეულ ადგილს მიუჩენს, მისი თავისუფლებისათვის თავდადებულთა ეროვნულ პანთეონში.

საუკუნოთ იყოს ხსენება მისი.

ბ. კირიაქაძე.



### გ რ ი გ ო ლ რ ო ბ ა ქ ი ძ ი ს ხ ს ო ვ ნ ა ს

«ერთხელ დიდებულ იღბალთან მივიდა სამი ახალგაზრდა.

— რა გსურთ? შეეკითხა იღბალი.

პირველმა სთხოვა:

— მე მინდა ვიყო შავარდენი! მინდა ცას ვეწიო, მაღლა ავფრინდე სულ მაღლა ..... ცის კამარის იქით, ლურჯსა და უსაზღვრო სივრცეში!... დაეუახლოვდე მნათობებს ..... ვარსკვლავებს!...

და იღბალმა მიანიჭა მას თავისუფლება.

მეორემ შესთხოვა:

— მე მინდა ვიყო უბედური, გამუდმებულ შრომასა და ტანჯვა-ვაებაში დავლიო ჩემი სიცოცხლე... მწარე ფიქრი და ნაღველი არ შორდებოდეს ჩემს სულსა და გულს!

და იღბალმა მიანიჭა მას სამშობლოც სიყვარული.

მესამემ მოისურვა:

— მე მინდა ღმერთი ვიყო! შენისთანა დიდებული კი არა ..... სულ სხვა. მინდა ღმერთი ვიყო მიწის ხალხთა შორის. მინდა ვიყო მგრძობიერი და შემომჭმედი; მუდამ ჟამს ლამაზი და ჯველი. ყველას მოყვარული და ყველასათვის საყვარელი. მინდა ხალხის ღმერთი ვიყო მიწაზე.

დიდებული იღბალი შეფიქრიანდა.

— მაშ კარგი.

და უწყალობა მას შეიმოქმედებს, სელოვანის დიდი ნიჭით.

არის სახე, რომლის დანახვამ არ შეიძლება არ გაგრძობინოს, რომ ადამიანს ფიზიკურადაც შეუძლია იყოს ღმერთობას ზიარებული. გრიგოლ რობაქიძის სახე რასიული არისტო-

კრატინზმით იყო განათებული. მის გარეგნობას შედარება ვერ შეაშინებდა: და რაც უფრო ძვირფასია, ამ გარეგნობას სულის მძლავრი ნიჭიერება მარჯვე ხაზებით ახალისებდა. საქართველოში თითქმის ყველა პროვინციელია: ქვევით, ლაპარაკით, კილოთი. ეთნოგრაფიით გამასხარავენას ძვირად თუ რომელი ქართველი გადაურჩება. გრიგოლ რობაქიძეს ძლეული ჰქონდა ყოველნაირი «ეთნოგრაფია». შეხვედრაში თუ ბაასში, საჯაროთ თუ კერძოთ იგი ყოველ შემთხვევაში და ყოველგან იყო «სატახტო», საკუთარი ღირსებით დატვირთული და პიროვნების ათვისებით თავისთავადი.

გრიგოლ რობაქიძე, როგორც მწერალი, რთული ფენომენია. მისი სამყაროს შეგნება, მისი მეტაფიზიკური ემოციები ღრმა ანალიზს და შესწავლას მოითხოვს. ტანჯვა, შემოქმედება, ძიება და ბრძოლა ზომ ოთხი უმთავრესი ქვესაყრდენია ადამიანის ყოფისა, ისევე მთელი სამყაროს არსებობისა. არა ერთი და ორი ქართველი მწერალი თუ პოეტი «შებრძოლებია» ამ ოთხ მთავარ სტიქიონს. დაეასახელებთ საუკეთესოთ მათ შორის და გრიგოლ რობაქიძის სახელიც იქ იხსენიება. გრიგოლ რობაქიძე დიდია არა მარტო, როგორც ხელოვანი, იგი საგრძობი მნიშვნელობისაა, როგორც მოაზროვნე. დღეს ყოველი დიდი ხელოვანი, დიდი მოაზროვნეც უნდა იყოს.

ლაპარაკობს თვითონ გრიგოლ რობაქიძე—მისი წერილი «სალიტერატურა აკადემია» (გაზეთი «საქართველო» № 155. გიორგობისთვე 22 1920 წელი).

«საქართველოში კიდევ ფესვ მაგარი აზრი, ვითომ დიდ მწერალს (პოეტს, პროზაიკს) შეეძლოს ცოდნის გარეშე საგულიანსმო შემოქმედება. რაც ძირშივე უაღბია. დიდი შემოქმედება გულისხმობს დიდ განცდას. რა უნდა განიცადოს მწერალმა, თუ მისი ცოდნა სოფლის მასწავლებლის გონებრივი დოვლათით განისაზღვრება?! დიდი შემოქმედებისათვის აუცილებელია დიდი კულტურა აზრის». — ა. ამით აიხსნება ალბათ, რომ გრიგოლ რობაქიძის მრავალსახოვან შემოქმედების (დრამები, პროზა, პოეზია, მხატვრული კრიტიკა) საქმეა და ვრცელ გამზირზე ფილოსოფოსათ გვევლინება საცნაურ.

ჩვენ მოკლე ხანში შევეცდებით გრ. რობაქიძის შემოქმედების მთლიანობა გადავხსნათ მის მთავარ სახსრების მიხედვით. მანამ აღსანიშნავია ერთი გარემოება—მე-19 საუკუნის ჩვენ მწერლობას ეთნოგრაფიული ელფერი გადაჰკრავდა. ამით რასაკვირველია ჩვენ არ გვსურს იმის თქმა რომ—: ნ. ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა და სხვანი ჩვენ მწერლობის ამ ვიწრო ჩარჩოდან ამოსასვლელად არ იღწოდნენ. მათ მაგარი საძირკველი ჩაუყარეს მეტაფიზიკის ყოველ დარგს: მოთხრობას, ლექსს, დრამას, პოემას. მაგრამ მათი კირჩხიშე აყვანა მომავალ თაობათა ლიტერატურის სარდლებს გადასცეს— «უნივერსალიზმი და სრულყოფილი ფორმა».

ეს იყო და არის უპირატესი ლოზუნგი ჩვენი ეპოქის ქართული მწერლობის» ამბობს კონსტანტინე გამსახურდია. სრული სიმართლეა ჩვენის აზრით, საამისოდ აუცილებელი ნაბიჯი გადადგა გრ. რობაქიძემ, მან ჩვენი მწერლობა ორლობის ორწოხებიდან უნივერსალობის რანგამდე აიყვანა.

ასეთია გრიგოლ რობაქიძის ხვედრი ქართულ მწერლობაში.

ქართული მწერლობის მოამაგვე და მხრუნველო, ქართული პარნასის მშვენებავ, დიდება და თაყვანისცემა შენს სახელს.

მ. კალანდიაძე.

უკანასკნელ ხანებში პარიზში გარდაიცვალა, დამფუძნებელი კრების და ქართული ემიგრაციის ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრის წევრი იოსებ გობჯია, რომლის ნეკროლოგი გამოქვეყნდება შემდეგ ნომერში.

უკანასკნელ ხანებში გარდაიცვალენ:

არგენტინაში, ჩვენი პარტიის ძველი წევრი, სიკო მაღალაშვილი.

გერმანიაში, რადიო-სადგურის თანამშრომელი, ნიკო იმნაიშვილი და გ. საჯაია.

საფრანგეთში პოლკოვნიკი ვიქ. ცხაკაია, დიანოზ ასათიანი და ქ-ნი მებურიშვილისა.

«ივერიის» რედაქცია უღრმეს სამძიმარს უცხადებს მათ ოჯახებს და ნათესავებს.

ერ.-დემ. პარტიის საზღვარგარეთის ბიურო და «ივერიის» რედაქცია გულითად თანაგრძნობას უცხადებს მის თანამშრომელ, მ. კალანდიაძეს, საქართველოში მისი საყვარელი დედის გარდაცვალების გამო.

ერ.-დემ. პარტიის საზღვარგარეთის ბიურო და «ივერიის» რედაქცია, უღრმეს თანაგრძნობას უცხადებს ბ. ნ. ირ. ბეგიაშვილს, საქართველოში მისი მამის გარდაცვალების გამო.

«ივერიის» რედაქცია უღრმეს მადლობას უცხადებს იმ პირთ, რომელთაც გასული წლის განმავლობაში გადმოგვიგზავნეს მატერიალური დახმარება. შემომწირველთა სრული სია გამოქვეყნდება შემდეგ ნომერში.

ვსთხოვთ თანამოაზრეთ და მკითხველთ ნუ მოგვაკლებენ დახმარებას, რათა შეგვაძლებინონ შემდეგი ნომრის გამოცემა.

გამომცემლობა-რედაქციის მისამართი:

E. Pataridze

35, rue General Delestraint. Paris (16)

Imprimerie Coopérative Arpajonnaise. Arpajon.

